140/1945 /2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველა

6
1945
ივლისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითl

ჭ.ი.ო.ნ.ე.რ.ი

საქ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 6

1945 წ. ივლისი

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოქვეყნდა „კომუნისტი"

ПИОНЕРИ

№ 6

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти"

ბრძოლის გმირებს, სწავლის გმირებს

თვალციმციმა გოგონებო, ჭაბუკებო ჩვენი მხარის,
ყველა თქვენგანს ჩემი რითმა შესცინის და შემოჰხარის.

ნეტარების წუთი დადგა, აშრიალდნენ ჩონგურები:
დაგვიბრუნდნენ, დაგვიბრუნდნენ ვალმოხდილი ლომგულები.

აჭიკჭიკდით მოზარდებო, მიეგებეთ სტუმრებს გულდად,
თქვენი კარის მეზობელი სანლის კერას დაუბრუნდა!

დაგვიბრუნდნენ, არა როგორც ჯაბანი და ნარისხვალი,
დაგვიბრუნდნენ, როგორც ქარქაშს უბრუნდება თავის ხმალი.

ბევრმა ვეღარ მოაღწია, გადაექცა მიწა ბინად,
მტერს შეაკვდა მამულისთვის, რომ თქვენ ტკბილად დაგეძინათ,

რომ შეეშროთ თქვენს ლოყებზე მოკამკამე ცრემლთა დენა,
რომ დაეცვათ თქვენი გაზრდა, თქვენი კარგი დედაენა.

თქვენც მებრძოლთა ნაწილი ხართ, მათი წიბო, მათი ძვალი,
თქვენ სუნთქვა ხართ ბელადისა — ჩვენი ხალხის მომავალი.

დაახვედრეთ ჩვენს მებრძოლებს სიმამაცე, შრომა, გარჯა,
გაიმარჯვებთ, როგორც მტერზე ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული
ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ

ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის
9 ივლისის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება

—ᲓᲘᲚᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲘᲧᲝ,—ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ,—
ᲐᲮᲚᲐ, ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ?
—ᲛᲔ ᲛᲘᲕᲚᲘᲡ!—ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲓ ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲔᲑᲡ
ᲛᲝᲫᲕᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ ᲗᲐᲓᲐᲠᲘ.—
ᲠᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲓᲚᲔ ᲐᲒᲕᲐᲨᲝᲠᲐ,
ᲠᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲓᲐᲠᲘ!

—ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲠᲩᲘᲜᲐ ᲛᲔᲪ ᲑᲣᲜᲔ!—
ᲒᲐᲚᲨᲘ ᲫᲣᲠᲐᲢᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ.
—ᲛᲐᲜ ᲒᲖᲘᲗᲮᲜᲐ, —ᲐᲛᲑᲝᲜᲡ ᲛᲘᲗᲐᲨᲘᲜᲓᲐ
ᲒᲝᲚᲐᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲠᲪᲮᲚᲐᲕᲘ.—
ᲥᲛᲐᲨᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲨᲔᲭᲘᲛᲝᲜᲓᲐ
ᲪᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ, ᲛᲖᲘᲡ ᲬᲐᲪᲔᲠᲬᲐᲚᲘ.

ᲠᲐ ᲨᲐᲕᲘ ᲓᲚᲔ ᲐᲒᲕᲐᲨᲝᲠᲐ,
ᲠᲐ ᲡᲢᲣᲓᲐ-ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲘ.
ᲨᲝᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ... ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲮ ᲫᲮᲝᲓᲐᲕᲗ,
ᲐᲮ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ;

ᲐᲠᲬᲘᲕᲗᲐ ᲛᲨᲝᲑᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ
ᲭᲕᲔᲜᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲗᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲙᲒᲔᲠᲡ,
ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲭᲘᲕᲘᲐᲜ,
ᲣᲜᲘᲡᲚᲝ ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ
ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲓᲕᲘᲕᲘᲐᲜ.
ᲚᲐᲛᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲡᲘᲪᲮᲠᲔᲛ ᲜᲐᲗᲚᲓᲔᲑᲐ,
ᲘᲡᲘᲪ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲮᲑᲘᲕᲘᲐ.

ᲛᲐᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲒᲣᲚᲨᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲜᲚᲔᲑᲓᲐ;
ᲛᲘᲡᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲛᲘᲚᲘᲗ
ᲛᲐᲠᲐᲓ ᲛᲖᲔ ᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲐᲘᲛᲔᲜᲔᲑᲓᲐ,
ᲮᲔᲘᲡ ᲐᲠ ᲪᲘᲪᲕᲘᲕᲐᲗ ᲨᲝᲗᲚᲔᲑᲘ,
ᲐᲠ ᲨᲣᲮᲐᲛᲗᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲥᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲥᲐᲮᲐᲮᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲪᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენიმე თვით ადრე ვიდრე ასი წელი შეუსრულდებოდა გარდაიცვალა ცნობილი საბ-ჭოთა პოეტი, ყაზახეთის სახალხო აკინი, სტალინის პრემიის ლაურეატი ჯამბული.

ჯამბული ჯამბაევი დაიბადა 1846 წელს, თე-ბერავლში, აულ-ატის ოლქის ახლანდელ კოლ-ტეკის რაიონში. 12 წლის იყო, როდესაც ჯამ-ბულმა ისწავლა დომბრაზე დაკვრა, ხოლო 14 წლიდან იგი თავისი ბრიმით ირჩენდა თავს. პირველხანებში ჯამბული ასრულებდა სხვების მიერ შექმნილ სამღერებს, შემდეგ კი საკუ-თარს მღეროდა.

ჯამბული იყო სამოცდაათწლეზე მეტის, რო-დესაც დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ გაა-თავისუფლა ჩაგრული ერები ცარიზმის მონო-ბისაგან და დაამკვიდრა მათ შორის დიდი სტალინური მეგობრობა. ჯამბული სწერდა: „როდესაც მე შემისრულდა სამოცდაათი წელი, მე დავიბადე ახალი ცხოვრების წიოთელ განა-თიადი... ჩემს ირგვლივ აელვარდა ისეთი სი-ცოცხლე, რომლის შესახებ მე ვოცნებობდი საუკეთესო სამღერებში, როგორც ოქროს საუ-კუნეზე“.

1937 წელს რუსთაველის საიუბილეო დღეებ-ში თბილისს ეწვია ჰალარა ჯამბული.

სამშობლო ომის პერიოდში მეზნეზარედ ქიერდა პოეტის მიერ წითელ არმიას მებრძო-ლებისადმი მიძღვნილი „სიყვარულსა და ბის-ზეის“ პოემა.

სახალხო მომღერალი ჯამბული მთავრობამ და ბელისუფლებამ დაჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი ლენინის ორდენით, ბრომის წითე-ლი დროშის და სახალხო ნიშნის ორდენებით.

ჯამბული

სიმღერა სტალინზე

შემოვიარე ტრამალები, კლდენი, ქედები,
სახედამწვარმა, ქარდაკრულმა და თმებჭაღარამ.
ოთხმოცდაათი წელიწადი მზეს დავეძებდი,
ბოლოს შემომხვდა და სხივები შემომაყარა.

ვიდექ იმის წინ; დამაცქერდა და გამიცინა,
მომიალერსა, მომაფინა სინათლე ლბილი.
ვიდექ უსიტყვოდ მე იმის წინ, ჩემის მზის წინა,
თითქოს ვიხილე ჯადოსნური სიზმარი ტკბილი.

სტალინ! შენა ხარ გაზაფხულის ეს მზე ცხოველი!
გადმოიხედავ, და მხურვალე სხივების ძალით
ყანა პურდება, გაიშლება კვირტი ყოველი,
ცხელდება სისხლი, გიზგიზებენ გულები ალით.

ვერ აყვავდება სიჭაბუკით ორჯერ სხეული,
მაქვს შეევრცხლილი მოხუცებულს თმები და წვერი.
მაგრამ შეხვედრის მოლოდინით გულკალეული,
შეგხვდი თუ არა, გარდავიქეც ჭაბუკად ბერი.

სასწაულებრივ გაჯეელდა ჯამბული კვალად,
თითქოს ყუმისით აბუყბუყდნენ სისხლის მილები,
თითქოს გასწორდა ხერხემალი მოხრილი რკალად,
თითქოს ხელახლა მეზრდებიან თეთრი კბილები.

ოთხმოცდაათი წლის ყმაწვილმა გიხილე თვალით,
გზა სიღატაკის რომ გავლილ ეკლით ფარული,
და მოგიტანე შენ სალამი ხალხისა, სტალინ,
თავათ შენს მიერ განახლებულ კაცთ სიყვარული.

რა გამოვსაცდეთ? მწუხარება, შიმშილი, დაღლა.
რა ვნახეთ ჩვენა? შოლტი, ხიშტი და ბორკილები.
მდიდარს ყოველი ჩვენთანგანი მიაჩნდა ძაღლად,
მწარედ ვგმინავდით, დღის სინათლეს მოწყეტილები.

მაგრამ გამოჩნდი მზე ბრწყინვალე წყვდიადის
რღვევით,
თავისუფლება მოიტანე მრავალ ერისა,
გავეშვედით ღერბი და აღვმართეთ ალამი ზეკით:
ქვეყნის, ყველაზე ნათელის და ბედნიერისა.

მზეო — სტალინო! იბრწყინვალე მზისავე მსგავსად.
კრემლში მოგართვით სიმღერები, გულნი, იანი.
არ იმყოფება ქვეყანაზე სრულიად არსად
შენზე საჭირო ხალხისათვის ადამიანი.

თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით შამათავა

ნახატები მ. დაუშვილისა

ნათესავები

შავგვრემანი, ჯმუხი ყმაწვილი ლეიტენანტი პაპატაშვილი ფანჯრიდან გასცქეროდა ნაცნობ მთაგორებს. მატარებელი მშობლიური ქალაქს უახლოვდებოდა. მცხუნვარე სამხრეთის მზიანი დღე იყო. დიდი ხანია არ ენახა თენგიზს თავისი კუთხე, ყმაწვილი ოცნებას გაეტაცნა.

—სამხრეთი, ამხანაგო თენგიზ! — მშობლიური ქალაქი... ჩაილაპარაკა სამხედრო ექიმმა, ხელი ამხანაგს მოხვია და ფანჯრიდან გადახედა.

— კრუჩკოვ, ამხანაგო სერგეი, დღეს საღამოს ჩვენსა სახლში წაგიყვან დედასთან, მამაც სახლში იქნება, ჩემი მეუღლეც თუ საღამოს ჰოსპიტალში არ დანიშნეს მორიგედ. მწერდნენ ყველანი კარგად ვართო... — მხიარულად ამბობდა ყმაწვილი. კრუჩკოვს კი ნაღვლიანი სახე ჰქონდა. წყნარად მოტრიალდა, მაგიდას მიუჯდა და ხელებს დააყრდნო თავი.

ეწყინა თენგიზს. კრუჩკოვს ოჯახი გაახსენა მისმა სიტყვებმა. ბოლო ხანებში უცნაური გახდა ექიმი. საველე ლაზარეთში ხშირად უჯავრდებოდა თანაშემწეს, ხოლო ამხანაგებში გულჩათხრობილი იყო. ერთხელ შესვენებისას მხიარულმა კაზაკმა სტეპან ძიუბამ გარმონი მიაწოდა და სთხოვა სახუმარო შაირები ემღერა გოგონებზე. კრუჩკოვმა გარმონი განზე გადასდო და ბრაზიანად სთქვა:

— მოგცლია!

მოკლედ რომ ვთქვათ, გამოიცვალა კაცი. ეს მოხდა იმ დღიდან. დეკემბრის ნუთს ჩვენი ცხენოსანთა ნაწილები გერმანელთა მიერ დაკავებულ ქალაქში შეიჭრნენ. წუთით არ მოსცილებია იმ დღეს ლეიტენანტ პაპიტაშვილს ექიმი, მასთან ერთად მიაქროლებდა გათქვირულ ულაყს და თავისებური ომახიანი ხმით მიჰკიკინებდა მტერს. განთიადისას გერმანელებმა დასტოვეს ქალაქი. ხალხი გამოეფინა ქუჩებს. სამარგულების გვერდით მიაბოჯებდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები! ქალაქის შუაგულში ნაცნობი მოხუცი ევლოკია შეხვდა ცხენოსნებს. დედაბერმა იცნო ექიმი, შესცინა და მხიარულად აჩიფჩიფდა.

— შვილო, სერგეი მშვიდობით მოხვედი, გამარჯვება ნუ მოგეშალოს, ჩემი ბიჭიკო... დაინგრა ჩვენი ქალაქი... რას იზამ ბიჭო, ომია, ომი.

სერგეი კარგა ხანს ესაუბრა მოხუცს და მერე ჰკითხა:

— ჩვენნები როგორ არიან?!

მოხუცი შეკრთა, მან მოკლედ სთქვა:

— კარგად.

საღამოს კრუჩკოვი შინისაკენ გაემართა. საქმესრთულიანი სახლისაგან მხოლოდ კედლებიღა და დამწვარი ფანჯრის ჩარჩოები დარჩენილიყო. დიდხანს ირეს ნანგრევებზე ექიმმა და პაპიტაშვილმა. ბოლოს ერთ ნანგრევთან შეჩერდა სერგეი. კედელთან რაღაც ქაღალდებს დასწვდა. ირგვლივ რიიალის ნამსხვრევები ეყარა. ექიმმა გაშალა ქაღალდი, ხოტეები აღმოჩნდა. კრუჩკოვი მიუბრუნდა მეგობარს და უთხრა:

— თენგიზ ბიჭო, შენ ხომ ქართველი ხარ, ჩემს გოგონას „ციცინათელა“ უყვარდა, როგორ მღერიდა მერე. კარგი გოგონა მყავდა, თენგიზ...

უცნაური რბილი ხმით ლაპარაკობდა ექიმი, ყმაწვილი შეაშფოთა ამ ხმამ და

თვალი მოარიდა მეგობარს. ამ დღიდან ცოლ-შვილის ვერა გაიგო რა კრუჩკოვმა. ქალაქში კვლავ სიცოცხლე გაჩაღდა. შემდეგ ცხენოსანთა ეს ნაწილი სამხრეთში გაგზავნეს. კრუჩკოვი კი გამოიცვალა, სულ გამოიცვალა კაცი.

ახლაც ვაგონის ფანჯარასთან მაგიდას დაყრდნობილი მწარე ფიქრს წაეღო ექიმი. მატარებელი სადგურში შევიდა.

* * *

— სერგეი! წავიდეთ ჩვენსა, მე მინდა შშობლები გაგაცნო! ახლა ხომ თავისუფლები ვართ!

უთხრა საღამოს ლეიტენანტმა კრუჩკოვს.



— კარგი, წავიდეთ!—დასთანხმდა მეგობარი. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ შესვენებამ, სამხრეთის მზიანმა ცამ, გაზაფხულმა სიმშვიდე მოგვარეს ექიმს, კრუჩკოვი კარგ ხასიათზე იყო. იმდენად გასალმისდა, რომ ქუჩაში მიმავალი წყნარად ღიღინებდა კიდეც.

„საყვარელ ქალაქში კარგია შესვენება“...

თენგიზს უხაროდა, მეგობარმა მძიმე ფიქრებს სძლია.

ბინაზე რომ მივიდნენ, მოულოდნელმა სიხარულმა თავდავიწყებამდე მიიყვანა თენგიზის შშობლები. დედა ეხვეოდა შვილს, ჰკოცნდა, სიხარულის ცრემლს ღვრიდა, გულში იკრავდა და არ იშორებდა. ყმაწვილი იცინოდა.

— კარგი დედი, საკმარისია, ამხანაგი მოიწყენს!

კრუჩკოვი იდგა, იღიმებოდა, ხელები ქამარზე შემოეწყო, მეგობრის სიხარულს იზიარებდა. თენგიზის მამა, ძველი მასწავლებელი ვასილი შორით უცქერდა, ახლაც მოწონების ნიშნად ეხრებს იშმუშნიდა ისე, როგორც გაკვეთილზე, როცა მოსწავლე ხუთიანზე უპასუხებდა ხოლმე.

— საკმარისია, ბიჭებს ვახშამი უნდათ, ქალო! სთქვა მან და შემდეგ მეგობრებს მიუბრუნდა — როგორ ხართ, უკუქცეულ მტერს წუთით არ მისცეთ შესვენება, დასცხეთ, დაჭკარით. მამა-პაპანი გმირნი გყავდათ, „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. აღფრთოვანებული ლაპარაკობდა მოხუცი. მეგობრები იცინოდნენ. ვასილი განაგრძობდა, იგი სიხარულით ყვებოდა თავის მეორე ვაჟის გმირულ თავგადასავალს, თუ როგორ დაიფარინა მან ლენინგრადის ფრონტზე მტრის ურდოები. ვაჟკაცობისათვის მთავრობამ დაჯილდოვა. სადღაც მაგიდის უჯრაში ფაქიზად გახვეული გაზეთის ამონაჭერი მონახა მოხუცმა და მეგობრებს თავმომწონედ გაუშალა წინ.

არ ცხრებოდა მოხუცი. კრუჩკოვს უხაროდა, თენგიზს „გადახედავდა და მეგობრულად თვალს ჩაუკრავდა.

დედამ სუფრა გაშალა. რაც კი გააჩნდა, ყველაფერი შოჰქონდა მოხუცს. მეგობრები ძადიანად შეექცნენ. ვასილი თამადობდა. გატაცებით ოხუნჯობდა, გამოცანებს ამბობდა, სიბერეს დასცინოდა და სიკვბუკეს ნატრობდა

თავის მხრივ მეგობრებმა ომის ქარიშხლიანი დღეები მოგონეს. ორმოცგრადუსიან ყინვაში ღამით გმირული შეტევები. კრუჩკოვმა ერთი ეპიზოდი უამბო მათ საველე ლაზარეთის ცხოვრებიდან. შუაღამე იყო, რომ ექიმის თანაშემწემ, მხიარულმა ბოგონმა ტანია გოლუბმა მორიგეობაზე გამოცხადებისას დატყვევებული გერმანელი ჯარისკაცი მოიყვანა ლაზარეთში, მან დინჯად გვიამბო, თუ როგორ დატყვევეს იგი ლაზარეთის მახლობლად. ტანია იცინოდა, მაგრამ სრულიად არ ტრაბახობდა.

ხალისიანი იყო ვახშამი. ნავახშმევს ეთერიც მოვიდა ჰოსპიტლიდან, თენგიზი მხიარულად მიეგება ცოლს, შემდეგ მეგობარს გაუღიმა და უთხრა:

— იცნობდეთ, ჩემი მეუღლე, თქვენი კოლეგა — ექიმი!

ნაწილში წასვლის დრო იყო. ბოლოს თამადამ განმეორებით შესვა მამაცი მეომრების სადღეგრძელო. კრუჩკოვი რაღაც გრძელსა და საინტერესო სადღეგრძელოს ამბობდა, როცა მეორე ოთახიდან პიანინოს ხმა მოისმა, ვიღაც ეშხიანად უკრავდა ნაცრინბ ჰანგს და ქართულად მღეროდა. ექიმმა ჭიქა დასცალა, დაჯდა. მასპინძელმა შეატყო, რომ უგუნებოდ გახდა სტუმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოუვიდა ბიჯო, შენს მეგობარს,— დაეკითხა ქართულად მამა შვილს.

— ასე ემართება, როცა მუსიკას უსმენს. ვინ უკრავს მამა ჩვენს პიანინოს...

— ჩვენი სტუმრებია, მშვენიერი ოჯახია. დროებით ჩვენს წინა ოთახში ცხოვრობენ. როცა ჩვენებმა მაგათი ქალაქი დასტოვეს, ესენი აქ ჩამოვიდნენ, მეც ბინა დავუთმე. ახლა ამ დღეებში გაემგზავრებიან უკან. ჩვენებმა ის ქალაქი უკვე გაათავისუფლეს.

ექიმს არაფერი ესმოდა, ხელებზე დაყრდნობილი იჯდა მაგიდასთან.

— ვინ არის მამა ის ქალი?!

— ის, სამხედროს ცოლია! ქმარი ფრონტის ჩრდილოეთ მხარეს ყავს, დიდი ხანია და არაფერი იცის...

— მერე და მამა, ვახშამზე რად არ მოიწვიე მეზობლები?!

— ეჰ, მართლაც, გულმავიწყი გავხდი. თქვენმა მოსვლამ ყველაფერი დამავიწყა! ნამალაზრდა, ქერა, ლამაზი სახის ქალია.

— გაიცანით ჩემი ვაჟი, ეს კიდევ მისი მეგობარი!

ქალმა თენგიზისადმი გაწვდილი ხელი ძირს დაუშვა, კუჭკოვს მიაშურა და მღალი სასიამო ხმით შესძახა:

— სერგეი, ეგ შენა ხარ? ჩემო სერგეი?!

ექიმი გოხს ვერ მოსულიყო. ახლა ოთახში გოგონამ შემოირბინა და ისიც მივარდა ექიმს:

— მამი, ჩემო მამილო! — ტიტინებდა გოგონა.

— მოულოდნელი და ბედნიერი შეხვედრა,—ამბობდა თენგიზი, — ყველაფერს ვიფიქრებდი, კუჭკოვ, და თუ შენიანები ჩვენსა დაგვხვდებოდნენ, ეს კი ვერ წარმომედგინა. მაგრამ ასეა ძმობილო, ჩვენი ქვეყანა დიდი ოჯახია, ჩვენ კიდევ ერთმანეთის მოკეთენი—ნათესავები ვართ.

მოხუცი, მაგრამ ჯარმაგი, გაუტეხავი, ფიზიკის ძველი მასწავლებელი ჭაღარა

წამოდგა, დაკაკუნა. ოთახის კარი გაიღო და მოხუცმა ტკბილი ხმით სთხოვა მეზობელს:

— ანა გრიგორევნა! მობრძანდით, ჩვენსას სტუმრებია, ჩემი ვაჟი ჩამოვიდა ფრონტიდან!

პიანინოს ხმა შეწყდა. ოთახში შემოვიდა ეს ანა გრიგორევნა, ოთახიდან ოთმაზე ხელს ისვამდა და თავის ხანგრძლივ სიცოცხლის მანძილზე პირველად სტეროფი სიხარულის ცრემლით.

ფანჯრებიდან სამხრეთის თბილი და მყუდრო ღამე იყურებოდა და ახლად გამოკვირტულ აკაციის სურნელება შემოჰქონდა ოთახში.

ნინო ნაკაშიძე

ნახატები ხ. მაისურაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხალხური ზღაპარი—დამუშავებული გავშვებისათვის)

დიდი ჩქრიალა მდინარის პირას, დიდი შრიალა ტყის ახლოს იდგა მზით გაშუქებული, ისლით დაბურული, დაწნული, ყოხტა ფაცხა და ცხოვრობდნენ ამ ლამაზ ფაცხაში მოხუცი ხანუმზე — ოდნავ მხრეში მოხრილი, ძალიან თეთრნაწნავებიანი და შავმანდილიანი დედაკაცი, შვილი მისი შიბაია, შიბაიას ახალგაზრდა ცოლი სუნჯა და პაწია ბიჭიკო ლერწამი, რომელმაც მხოლოდ ახლახან ისწავლა ჭილობზე ჯდომა და სიცილის დროს ორად-ორი კბილი მოუჩანდა.

ხანუმზეს გაგიეგებით უყვაოდა თავისი შვილი შიბაია და სხვას თითქოს ვერავის და ვერაფერს ხედავდა ირგვლივ.

შიბაიას უყვარდა სუნჯა, პაწია შვილი ლერწამი და უზომო პატივს სცემდა თავის დედას ხანუმზეს.

სუნჯას კი უყვარდა ყველა და ყველაფერი და ამიტომაც მთელი დღე სიმღერითა და სიცილით ტრიალებდა ოჯახში. უვლიდა პატარას, უვლიდა საქონელს, ამზადებდა სადილს ყველასათვის და საღამოს, როცა შიბაია ბრუნდებოდა ყანიდან, მხიარულად ეგებებოდა, დასვამდა სკამლოგინზე, წყალს მიართმევდა, ხელს დაბანინებდა, შემდეგ თვითონ დაბანდა ფეხს. მოიწევდა სუფრაზე, რომელზეც ჯამებით ეწყო სურნელოვანი, გეძრიელი ლობიო, ცხელი წოთელი ჭადი, მწვანილი და კაკლის ფოთლით თავდაცული ხელადით ღვინო.

აი როგორ ცხოვრობდა შიბაია და მისი ოჯახი.

ერთ დილას, როდესაც შიბაია ყანაში წავიდა სამუშაოდ, სუნჯამ გამოიყვანა თავის პაწია ლერწამი გარეთ ფაცხის წინ, დაუგო ჭილობი, დასვა ზედ, აკოცა ბევრჯერ, ბევრჯერ. დაუყარა წინ კაკალი და უთხრა:

— ითამაშე აქ, ჩემო სიცოცხლევ, — და ის ყო უნდა მოტრიალებულიყო და ფაცხაში შესულიყო, რომ ტყიდან უშველებელი ლომი გამოვარდა, შეჰკრა კბილარა, გადმოხტა, რომ დასცემოდა თავზე პატარას და მოეტაცნა.

თვალის დახამხამების უმალ ეცა სუნჯა ლომს ფაფარში, აიტაცა ჰაერში და დაანარცხა დედამიწას. ძაძინვე აიყვანა ხელში ბავშვი, რომელიც ისევ ისე იცინოდა, ჩიოკრა გულში, უანგარიშოდ დაჰკოცნა და მოეალერსა, შემდეგ ისევ დასვა ჭილობზე და მივიდა ლომთან. ლომი გაშხლართული ეგდო დედამიწაზე უსულოდ.

სუნჯამ გაიღიმა, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, უყურებდა მას ვინმე თუ არა და რომ ვერავინ დაინახა, ისევ გაიღიმა. შემდეგ აიღო ცალი ხელით ლომის ლეში, გაქცია ტყეში და ხეებში გადაადგო, რომ არავის ეპოვნა და დაბრუნდა შინ.

მაგრამ თურმე ეს ყველაფერი დაინახა მოხუცმა ხანუმზემ, რომელსაც მხოლოდ თავის შვილი შიბაია უყვარდა და სხვას ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ.

— ოოჰ, — სთქვა მან თავისთვის, — ხედავ, რა ღონიერი ყოფილა ჩემი რძალი სუნჯა? ეს უთუოდ დაჩაგრავს ჩემს შვილს შიბაიას, უნდა რამე ხერხი მოვიგონო, რომ გადავარჩინო ჩემი შიბაია, უნდა მოვიფიქრო,—და ხანუმზემ იფიქრა, იფიქრა საღამოდის და როდესაც საღამოს შიბაია ყანიდან შინ დაბრუნდა , დაუძახა და უთხრა:

— შვილო ჩემო შიბაია, მე ძალიან უკმაყოფილო ვარ დღეს შენი ცოლის საქციელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაკი დედა უკმაყოფილია, მაშ მართლა ცუდად მოქცეულა სუნჯა“ — და შიბაიამ არც აცივა, არც აცხელა, ჩამოიღო კედელზე ჩამოკიდებული სამკუდიანი მათრახი, დაუძახა სუნჯას და როდესაც ის შემოვიდა გაცინებული სახით, ჩაავლო ხელი თმაში, მოზიდა თავისკენ და სცემა სამკუდიანი მათრახით მკაცრად, დიდხანს.

სუნჯას ხმა არ ამოუღია, იდგა მორჩილად და წყნარად, არ ატირებულა, არც აკვირებულა და არც გაუცინია, რასაკვირველია, და არც მაშინ უპასუხა არაფერი, როდესაც შიბაიამ გული იჯერა ცემით და უთხრა:

— ახლა კი გეყოფა, აწი ხომ ჭკვიანად იქნები, — და დაჯდა მათრახი თავის ადგილას.

შემდეგ შიბაიამ ხელიც დაიბანა, ფეხიც დაბანა სუნჯამ, საფილიც მიირთვა და პატარა დაწნულ ფაცხაში, დიდი ჩქრიალა მდინარის პირას, შრიალა ტყის ახლოს ყველანი განაგრძობდნენ უწინდელ ცხოვრებას.

სუნჯა არასოდეს არ უსაყვედურებდა არც დედამთილს, არც შიბაიას და არც თავის მამას მოხუცსა და პატივცემულ საბეჭრს, რომელსაც თეთრი ფართო წვერი წელამდის სცემდა და რომელმაც სუნჯა მიათხოვა უცნობ შიბაიას და უთხრა:

— მე გაძლევ შიბაია, ჩემ შვილს, ჩემს ნუგეშს, ჩემს ლამაზ სუნჯას, ამას იქით ის შენი საკუთრება არის, შენი მორჩილი და გამგონე უნდა იყოს.

სუნჯას ეს მამის სიტყვები ძალიან კარგად ახსოვს ყოველთვის.

გავიდა დრო. იმ სახელმწიფოს მეფეს, სადაც შიბაია ცხოვრობდა თავის ოჯახით, მეზობელი სახელმწიფოს მეფემ ომი გამოუცხადა: შემოუთვალა, მე და ჩემს ხალხს გვპირდება მონები, ალაფი, გვპირდება ტყეები, გვპირდება მიწა-წყალი, საქონელი... ამიტომ გიცხადებ ომს, ან დაბრუნე ყველაფერი რაც გვპირდება, ან გამოგზავნე შენი ფალავნები და შეებრძოლონ ჩემს ფალავნებსო.

რასაკვირველია, ეს ამბავი მოხდა იმ ძველ დროს, როდესაც სახელმწიფოები ომს ფალავნების საშუალებით აწარმოებდნენ. რომელი სახელმწიფოს ფალავნებიც დამარცხდებოდნენ, დამარცხებულ სახელმწიფოდ ის ითვლებოდა და ყველაფერი უნდა მიეცა გამარჯვებულისათვის, რასაც კი მოითხოვდა.

შეწუხდა და შეშფოთდა შიბაიას ქვეყნის ხელმწიფეც და მთელი ხალხიც. არ იცოდნენ რა ექნათ. იმ სახელმწიფოს, რომელმაც ომი გამოუცხადა, ჰყავდა სამი ფალავანი სახელად მთაურყევი, მუხაუდრეკი და ქარიფინდიხი. ეს ფალავნები ჯერ არავის დაუმარცხებია და ამ სახელმწიფოს სად ჰყავდა ისეთი ფალავნები, რომ იმათ გამკლავებოდნენ.

დიდ საგონებელში ჩავარდა მეფეც და ხალხიც.

— ჯერ არავის დაუმარცხებია მთაურყევი, მუხაუდრეკი და ქარიფინდიხი და საიდან მოვიყვანოთო იმათი მომრევი ფალავნებია?! — იძახდნენ ისინი. მართავდნენ თათბირს თათბირზე და ვერაფერ დასკვნამდის ვერ მიდიოდნენ.

და ან ერთ თათბირზე მოვიდა ხანუმზე მოხუცი და შოახსენა შეკრებილ ხალხს:

— მომისმინე პატივცემულო კრებავ. მე ვიცი ისეთი ადამიანი, რომელიც მოერევა ჩვენი მტრების ფალავნებს.

— ვინ არის, გვითხარი,—გაისმა ხმები.

— გინდათ იცოდეთ, ვინ არის? ეს არის ჩემი რძალი, ჩემი შვილი შიბაიას ცოლი, — სუნჯა, ის მოერევა, ის გავგზავნოთ.

— როგორ? — გაისმა გაკვირვებული ხმები. — სუნჯა? ქალი? ხომ გასრისა ის მთაურყევმა, ხომ წაანარჩობს მას მუხაუდრეკი, ან როგორ გაუძლებს ის ქარიფინდიხს, როდესაც დაეტაკება მას.

— ვამბობ მოერევა მეთქი. ის ისეთი ღონიერია, ერთი მოქნევით მოკლა ვეება ლომი, რომელიც თავზარს სცემდა ხალხს აქ არემარეში. მერე ცალი ხელით წაიღო ტყეში და ხევში გადააგდო. წამოდგით და ნახეთ თუ არ გეჯერათ... დამიჯერეთ, გავგზავნოთ ჩემი შიბაიას ცოლი...

ბევრი თათბირის შემდეგ კრება დაეთანხმა მოხუც ხანუმზეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაგრამ რომ მოკლან ომში სუნჯა, მაშინ რაღა ეუთხრათ მის ქმარს შიბაიას?

— შიბაიას, — სთქვა ხანუმზემ, — მე მოვუყვან სხვა ცოლს. შიბაია არ დაიჩაგრება, მაგრამ ჩვენ უნდა დავითანხმოთ სუნჯას მამა, პატივცემული საბური.

მაშინვე აფრინეს კაცები საბურთან და მოვიდა საბური. მაღალი, წელში მოხრილი საბური, რო

ცხენიდან და შორს გადასტყორცნა. მთაურეკვი დაეცა გულალმა და ხერხემალ გადატხლილმა ფართხალი დაიწყო.

— თავი, თავი მოკკვეთე! — გაისმა ხმები.

— არ მინდა მოვკვეთო თავი. არ მინდა უთავოდ ნახოს შვილი მისმა საწყალმა დედამ.

სუნჯასაკენ დამშვიდებით და დინჯად წამოვიდა მაღალი, დიდი ფალავანი მუხაუდრეკი. ხელში გრძელი შუბი ეჭირა, დარწმუნებული იყო თავხედს განგმირავდა ამ შუბით და სრულიადაც არ ჩქარობდა.

სუნჯამაც გადმოიღო თავის შუბი და, როდესაც დიდ ფალავანს მუხაუდრეკს უნდოდა დაეგერებინა შუბი სუნჯას გულში, პატარა სუნჯა უცებ თავის ცხენს მუცელქვეშ მოექცა, მტრის შუბი აიცდინა და ისევ მოახტა ცხენს, წინ წამოწეულ, წონასწორობა დაკარგულ მუხაუდრეკს თვითონ ატაკა მახვილი შუბი, რომელმაც გულში გაუარა და ზურგში გავიდა.

შუხა გადავარდა ცხენიდან.

ვერ მოასწრო სუნჯამ სულის მოთქმა, რომ დაინახა მოჰქრის მისკენ ქარიფინდიხი მშვილდისარმოღერებული. სუნჯამ დაასწრო მოზიდა თავისი მშვილდი და ზუზუნით გაფრინდა ისარი, მოხვდა ქარიფინდიხს სახეში, ნახევარი თავი გადააცალა ფალავანს და გაგორდა მიწაზე. ქარიფინდიხმა უკანასკნელად კიდევ მოასწრო მშვილდის მოზიდვა, ისარიც წამოვიდა, მაგრამ შუაგზაზე დაეცა...

სუნჯა იდგა და კიდევ ელოდა მეომარ ფალავანს, მაგრამ მეტი ფალავანი აღარ აღმოაჩნდა მოჩხუბარ სახელმწიფოს.

გაამარჯვა სუნჯას ქვეყანამ და წამოიღო მტრის ქვეყნიდან აუარებელი ალაფი, ხელთ იგდო აუარებელი მონა-ტყვე და აუარებელი საქონელი.

სუნჯა კი დაბრუნდა თავის ოჯახში, უწინდებურად უვლიდა ოჯახს და ზრდიდა ბავშვს.

მხოლოდ შიბაიამ სამუდამოდ ჩამოიღო კედლიდან სამკუდიანი მაორახი და იმის ადგილას დაჰკიდა სუნჯას ჯავშანი, ჩაფხუტი და მშვილდ-ისარი.

სუნჯამ იცოცხლა დიდხანს, გამარჯვებული მადლიერი ხალხი მოდიოდა ყოველი მხრიდან მის სანახავად და ქებას ასხამდა მას. შემდეგ კი როცა სუნჯა გარდაიცვალა, მადლიერმა თაობებმა მის სამახსოვროდ ლექსი გამოსთქვეს და ამ ლექსს ახლაც მღერის იმ ქვეყნის ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ. ბაგრატიონი

1765 — 1945

თავადი პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი, გენიალური რუსი მხედართმთავრის სუვოროვის საყვარელი მოწაფე და მისი სახელოვანი თანამებრძოლი იყო. დაიბადა ბაგრატიონი ყიზლარში 1765 წლის 6 ივლისს. სამხედრო სამსახური რუსეთის ჯარში სერჟანტობით დაიწყო და მალე სახელი გაითქვა, როგორც რუსეთის არმიის საუკეთესო მხედართუფროსმა: ბაგრატიონმა 150 ლაშქრობასა და ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და თავისი შესანიშნავი სტრატეგიული შემოქმედებითი ნიჭით დიდება და სახელი მოუხვეჭა რუსეთის იარაღს. გენერალისიმუს სუვოროვისა და ფელდმარშალ კუტუზოვის მრავალი საბრძოლო დავალება ბრწყინვალედ შეასრულებია და ბრძოლის ბედი რუსთა ლაშქრობის სასარგებლოდ გადაუწყვეტია „თავად პეტრეს“, როგორც მას სუვოროვი უწოდებდა. იგი ნამდვილი ღვიძლი მამა ყოფილა რუსი ჯარისკაცისა, მსოფლიოში ამ განთქმული მეომრისა.

ბოროდინოს ბრძოლაში, რომელიც რუსეთმა ნაპოლეონის შემოსეულ ჯარებს გუუმართეს 1812 წლის 5—7 სექტემბერს, ბაგრატიონი სარდლობდა რუსთა მეორე არმიას მარცხენა ფლანგზე და ბოროდინოს ბრძოლის უკვდავი გმირის სახელი მოიპოვა. ნაპოლეონის საუკეთესო მარშლებს მოჰქონდათ იერიშები ბაგრატიონის ჯარებზე. შევარდინის რედუტი, ბაგრატიონის ფლეშები ხელიდანხელში გადადიოდა. ამ ბრძოლაში ძლიერ დაიჭრა ბაგრატიონი და 1812 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა.

ჩვენ ქვემოთ გიამბობთ ბოროდინოს ბრძოლის ერთ ეპიზოდს, რომელიც ბაგრატიონის სახელოვანი ბრძოლების უკანასკნელი ეპიზოდი იყო. ეს ეპიზოდი მოთხრობილია ს. გოლუბოვის წიგნიდან—„ბაგრატიონი—დიდება და ღირსება 1812 წლისა“.

... კანტაკუზენის ბრიგადიდან ნახევარზე მეტი დაეცა. მაგრამ დარჩენილნი ცეცხლიდან არ გაქცდიდნენ. გრენადერები პატარა ხევში იდგნენ; ოფიცრები მათ თითქმის აღარ ჰყავდათ,—ისინი ჯერ კიდევ შეტევის დროს დაიღუპნენ. უწესრიგო ჯგუფებად იდგნენ გრენადერები, იშმუშნებოდნენ და შეშფოთებულნი იცქირებოდნენ ირგვლივ. თოფის ტყვია და გრანატების ნამსხვრევები კვლავ დიდ ზარალს აყე-

ნებდა მათ დამსხვრეულ რიგებს: ხან ერთს, ხან მეორეს უსპობდნენ სიცოცხლეს. მაგრამ ამას ისინი შეჩვეულნი იყვნენ. მათ სხვა რამ აშინებდათ: ვი თუ დაგვიგოწყეს ამ მძიმე ბრძოლის ქარცეცხლშიო? მათ წინამძღოლი აღარ ჰყავდათ...

და უეცრად გრენადერების წინ აღიმართა თავადი ბაგრატიონი. მან ხელი იქითკენ გაიშვერა, სადაც მათი უფროსი დაიღუპა.

— მოჰკლეს თქვენი და ჩემი მეგობარი! აღარ გყავთ კანტაკუზენი! ჩემო ვაქაცებო! მე წაგიძღვებით! ომმყეკით!

ასეთ მეთაურს გრენადერები არ მოელოდნენ. ფერმკრთალი და დამტვერული, იგი აველვებდა მათ წინ თავის მაღალტანიან თეთრ ცხენს. ცეცხლს აფრქვევდნენ მისი თვალები, ვარსკვლავებით შემკული ბრწყინავდა მისი გულ-მკერდი.

„თვით ბაგრატიონი!“

ჯარისკაცებს სახე სიხარულით გაუბრწყინდათ.

— ვაშაააა! გაგვიძეხ, მამავ! მოვკვდებით!

დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას. გრენადერებმა თოფები მოიმარჯვეს და იერიშზე გადავიდნენ.

— ხიშტები!—დასძახა თავადმა პეტრემ და დეზი ჰკრა თავის თეთრას. იელვეს გრენადერთა ხიშტებმა და შეიქნა მუსრვა.

ეს შეტევა ერთი მუჭა ადამიანებისა, რომელთაც თვით მთავარსარდალი მოუძღოდათ, გასაოცარ სანახაობას წარმოადგენდა... ეს იყო შეტევა მრისხანე, ვით ქარიშხალი.

* * *

შეტევა უკვე მთელი თხუთმეტი წუთი გრძელდებოდა. შუა ფლეშში, რომელზეც იერიში თვით ბაგრატიონმა მიიტანა, თითქმის აღარ დარჩა არც ერთი ფრანგი. კონნოვნიცინი დიდი წარმატებით მოქმედებდა მარცხნივ და მარჯვნივ. ვასილიჩკოვი ვალერიას მოუძღოდა. ბაგრატიონი ხედავდა, თუ როგორ აელვარდა ბეგთარასანთა ჩაჩქნების სპილენძოვანი ოქროდილობა, ესმოდა ხმა ნაღარისა და მისი სახე სიხარულით ბრწყინავდა.

— ვაშა!—გაიძახოდა იგი და აქანებდა ხმალზე გადმოცმული თავის ქუდს.

ცხენოსნები ესაკლარნებად იძვროდნენ შორიშორ დისტანციებზე. ბეგთარასნები შავრა ცხენებზე ისხდნენ, ამიტომ მათი ზავი, სწრაფად რომ მიჰქროდა ფლეშებისაკენ, შავად მოჩანდა.

— ვაშა!

თავადი პეტრე ივანეს-ძე თითქმის უკვე აღარ ეჭვობდა, რომ მისი ეს თავგანწირული მანევრი გამოასწორებდა, ჯარბად ანარბაღაურებდა ფლეშების დაკარგვას.

— ვაშა!

საშინელი დარტყმა იგრძნო უეცრად ბაგრატიონმა მარჯვენა ფეხში. იგი უნაგირზე შეტორტმანდა და ხმალი ხელიდან გაუვარდა. მისი შავი გრუზა, თმა ყალყზე დადგა, შავგრემანი სახე გაუთეთრდა, თვალები გადაუბრწყინდა, ცრემლითა და სისხლით სავსენი. მისმა კბილებმა გაკვნეტეს გამშრალი ქვედა ტუჩი. ფეხი უძლურად დაეკიდა უზანგთან, — მუხლს ქვეკეთ, სადაც ჩექმის მაღალი, სარკესავით ელვარე ყელი ნოკეზდაა ეკეცება, ბოსჩანდა კუნთების წითელი ნაგლეჯები და ბასრი კბილანები თეთრი ძვლებისა. ბაგრატიონის ცხენის ფერდზეც გამოჩნდა წითელი ლაქა. მას ორთქლი ასდიოდა,—სისხლი თავად პეტრე ივანეს-ძისა მხურვალე იყო. ყოველ წამს ლაქა დიდდებოდა.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — წამოიყვირა თავზარდაცემულმა მისმა ადიუტანტმა ოლფერიევმა.—აჰ, თქვენო ბრწყინვალებავ! ეს რა მოვიგიდათ?...

ოლფერიევმა ცხენი მიაგდო ბაგრატიონთან და ხელი მოხვია მას წელზე. იგი გრძნობდა თუ როგორ ცახცახებდა თავადის სხეული და მთელი სიმძიმით ეშვებოდა უნაგირიდან ქვეკეთ.

— თქვენო ბრწყინვალებავ!

— ჩუ, ჩუმად, ჩემო კარგო,—წაიჩურჩულა ბაგრატიონმა,—არაფერია! მთავარია... არ შეამჩნიონ.

და იგი მიბრუნდა ჯარისკაცებისაკენ:

— წინ, მეგობრებო, წინ! შემუსრეთ არამზადები!

მას ეგონა, ხმამაღლა ვიძახიო, ნამდვილად კი მხოლოდ ოლფერიევმა თუ შესძლო ბრძოლის ხმაურში სუსტი ხმით გაცე-

ეროვნული

მული ბაგრატიონის ამ უკანასკნელი ბრძანების გაგრძელეა. სხვას კი არავის, სრულებით არავის არ გაუგონია...

ვერავინ გაიგონა ბაგრატიონის უკანასკნელი ბრძანება, მაგრამ ბევრმა ახლო მყოფმა დაინახა მისი უეცარი გაფითრება და სისხლი, რომელიც ყუმბარით გადამტვრეული ფეხიდან სჩქეფდა. და თუმცა თავადი პეტრეს ცხენი ჯერ კიდევ გელავდა, თუმცა მაგი გრუზა თმა, ეგზომ ნაცობი რუსეთის არმიების თვითეული ჯარისკაცი-



სათვის, კვლავინდებურად წამომწოდა მას, მაგრამ თავზარდამცემი ამბავი თვალის დახამხამებაში მოედო ჯარებს.

და შედრკა შეტევა...

მოხდა მოულოდნელი, დაუჯერებელი რამ! მთელი სუეკუნის მეოთხედი გაატარა ბაგრატიონმა მრისხანე ბრძოლებში და ვერასოდეს ვერ შეჰბედა მტრის ტყვიამ თუ რკინამ შეხებოდა მას. სუეკუნის მეოთხედი! ჯარისკაცებს მტკიცედ სჯეროდათ, რომ მათ საყვარელ მხედართუფროსს ტყვია არ ეკარება, და განა მარტო ჯარისკაცები იყვნენ ამ რწმენით გამსჭვალულნი?! მაგრამ აი იგი მათ წინაშე დამსხვრეული ფეხით... იგი ჩამოჰყავთ ცხენიდან და აწევენ მაზარაზე... მან წამოიწია იდაყვზე და ნაღვლიანად მიმოიხედა თავისი დიდი შავი თვალებით. ექიმები, თითქოს მიწიდან ამოძვრენო, შემოეხვივნენ მას. მოინდომეს მისი საკაცეზე გადაწვენა, მაგრამ მრისხარედ გაიქნია მან თავი. არა! არასოდეს არ წოლილა იგი საკაცეზე და არც დაწვება. იგი თვითონ წავა... და მართლაც ბაგრატიონმა გადადგა ნაბიჯი, მაგრამ იმ წამსვე მას სახე გაუფითრდა და ხუჭუჭთმიანი თავი მოწყვეტით დახარა. აუტანელი ტკივილი ოგრძნო ამ დროს. იგი წაიკბიტა ტუჩი, ოლლფერეკეს და ექიმებს ხელი არ ეტაცნათ. მაშინ იგი წაიყვანეს, მხრებში ამოუდგნენ და გაიყვანეს ბრძოლის ცეცხლიდან,—იგი ცალ ჯანსაღ ფეხს ებჯინებოდა და საცოდავად მიათრევდა მეორეს — დამსხვრეულს. დიდრონნი თვალები კი დახუჭული ჰქონდა...

შეტევა ჩაიშალა და ჯარმა მთელ ხაზზე უკანდახევა იწყო.

* * *

ბენიგსენსა და ტოლს მარცხენა ფლანგზე მეორე და მეოთხე კორპუსის ჯარები უდიდესი სიჩქარით მიპყავდათ. თვითონ ისინი მიაჭენებდნენ ცხენებს, დაწინაურებულნი. მათ მიჰყვებოდნენ საბატარიო ასეულები, ყველანი ზარბაზნების ყუთებზე, ზედადგარებზე, ცხენებზე ისხდნენ. ქვეითი ჯარი გამაყრუებელი „ვაშათი“ მიდიოდა ცეცხლში. ჯარებმა უკვე ჩაუარეს რაევსკის ბატარიას და ის იყო შეერდინის რედუტს მიადგნენ, რომ მეწინავე ნაწილებმა ბაგრატიონი დაინახეს. დაინახეს და ელდა ეცათ. შთაბეჭდილება ისეთი თავზარდამცემი იყო, რომ გაშმაგებული ჭენება საარტილერიო ასეულებისა და დაუცხრომელი რბენა ქვეითი ჯარისა ერთბაშად შეჩერდა. მთელი ეს მრისხანე, მძიმე ზვავი მრავალი ათასი კაცისა შედგა ერთბაშად კედლად დამდგარი მეწინავე ნაწილების უკან.

ყრუ ხმაურმა გადაუარა ჯარებს. ბევრი ვერ ხედავდა თავად პეტრეს, მაგრამ რუსეთის არმიის დიდი უბედურების ამბავი აქაც სწრაფად გაიგო ყველამ.

— ჯარი უწინამძღოლოდ რჩება,—ჩუმი ხმით ჩურულაპარაკა ფრანგულად ბენიგსენმა ტოლს, მერე ჯარს მიუბრუნდა და გასცა ბრძანება:

— სმენა!

ტოლმა, ფერდაკარგულმა, ქუდი მოიხადა. და მთელმა ჯარმა, თითქოს ნიშანი მიიღოო, ერთბაშად მოიხადა ჩაჩქნები. ზღვა თავმოხდილი ჯარისაკცთა ზვეით კი ლეგიონთა საბრძოლო დროშები ფრიალებდნენ. მაგრამ აი გაისმა დაფდაფების მგრგვინავი ხმა და დროშებმაც იწყეს ნელ-ნელა ძირს დაშვება. რუსეთის არმია ეთხოვებოდა თავის შესანიშნავ მხედართუფროსს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილჰელმ ტელი

ᲧᲣᲠᲘ მიგდეთ, მომისმინეთ
და გიამბობთ ამბავს ერთსა,
გეტყვით, ერთხელ რაც გადახდა
სახელოვან ვილჰელმ ტელსა.
რეისის*) პირს აძოვებდა
ვილჰელმ ტელი ცხვრების ფარას,
მძიმე გარჯით, მძიმე შრომით
შოულობდა ლუკმას ალალს.
მონადირეც კარგი იყო,
არვინ ჰყავდა ურში**) ცალი,
მარჯვედ სდევდა კვალში ნადირს
და უჭრიდა მარჯვედ თვალი.
ვილჰელმს ჰყავდა ერთი ვაჟი,
თმაქოჩორა ბიჭუელა,
თვალტანადი და კისკასა,
სიხარულის სარეკელა.
როცა ტელი სახადროდ
მიდიოდა მხრებგაშლილი,
— მამა, მეც თან წამიყვანე!
გულმხურვალედ სთხოვდა შვილი;
ნადირობა სურდა ყმაწვილს
ხელთ აეღო მამის მშვილდი.
მან საყვარელ მეგობრებად
გაიხადა მაძის ცხვრები
და დაარქვა სათითოდ
თავ-თავისი სახელები.
როცა ფარა ხტუნვა-კუნტრუშს
მოჰყვებოდა მინდორ-ველად,
თმაქოჩორა ბიჭუნაიც
ჰყვებოდა უზრუნველად.
ასე ტკბილად მიდიოდა
მათი დღენი უდარდელი,
იმედსა და სასოებას
არ ჰკარგავდა ვილჰელმ ტელი;
დღევანდელ დღეს რაც მას ჰქონდა,
შეტს ელოდა — ხვალინდელით.
მაგრამ ხშირად მარტის თვეში
ცა ღრუბლებით იგრაგნება
და ბეღნიერ ხალხის ჭერ-ქვეშ
ისადგურებს მწუხარება;
მოულოდნელ დღეთა სუსხით
ხშირად ჭკნება ბაღში ვარდი, —
ასე ტელის ქეყნის შვილებს
შეეცვალათ ლხენა დარდით.
მათ მბრძანებლად მოეკლინათ
ავსტრიელი ვიგნიდარა:
კაცი გულქვა, უჯიათი,
ცოფს ანთებედა წარა-მარა.
უცხო ქვეყნის მძიმე უღლით
სიხარული მათი ჩაქრა;
აღშფოთებდათ, ტირანისგან
საკუთარი ქვეყნის ჩაგვრა.
ერთ დღეს გულქვა მბრძანებელი
მოედანზე აიმართა,
ხელი ცისკენ გაიშვირა
და ბრძანებით ხალხს მიმართა:
— ჰე, მონებო! ჩემს წინაშე
დაიჩოქეთ ქუდმოხდილი,
ვინც ურჩობას გამბედავს,
არ ასცდება მას სიკვდილი.
სწორედ ამ დღეს ვილჰელმ ტელი
ქალაქ ალტორფს მოსულიყო,
თმაქოჩორა, მხიარული
ბიჭუნაც მასთან იყო.
როცა ტელმა მოედანზე
თვალი მოჰკრა ხალხს და ტირანს,
იქ მივიდა შვილთან ერთად, —
მაგრამ გზირმა შეუყვირა:

— დიდ მბრძანებელს მორჩილებდე,
ძირს დაემხე ქუდმოხდილი! —
გესლერს სურდა ვილჰელმ ტელიც
დაენახა მუხლმოყრილი.
მაგრამ ტელი არ შეირხა,
გადაისვა შუბლზე ხელი.
იდგა, როგორც ბზის ხე ტყეში,
უდრეკი და მოუხრელი.
თქვა:—მოვუყრი მუხლს ღმერთს
მხოლოდ, —

*) მდინარე შვეიცარიაში.
**) კანტონი შვეიცარიაში.

ნუგეშად ის დამრჩენია;
თუ სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით,
სინდისი ხომ კვლავ ჩემია?!
— ჰეი, მცველნო, შეიპყარით! —
მბრძანებელმა იღრიალა.
— ეს დამცინის, მას არ მოსწონს
ჩემი ნება, ჩემი ძალა.
არ შევუნდობ არასოდეს,
ვინც ძე ასე მეურჩება,
ყმას, ბატონის არდამჯერეს,
დღეს სიკვდილი არ ასდება.
მაგრამ, მგონი, მარჯვედ სროლას
მას უქებენ შინ და გარედ.
დაიცადეთ, შევამოწმოთ...
ეგ ბიჭი კი აქ მოიგვარეთ!
ტოტებგაშლილ ცაცხვის ხეზე
მიათოკეს ტელის ვაჟი.
— არ შეირხე! — უთხრა გზირმა
და დაადო თავზე ვაშლი.
ვილჰელმს ბრაზი მოერია:
— მიმათოკეთ თვით მე ხეზე.
შვილს რას ერჩითო?! ბრალი თუ მაქვს,
სჯობს იძიოთ შური ჩემზე!
— ამ ლამაზ ბიჭს არას ვერჩი!
ღრიალებდა მბრძანებელი.
— მაგრამ სისხლი თუ დაიქცა,
თვით იქნები ბიჭის მკვლელი.
ურჩობისთვის შვილის თავზე
უნდა სტყორცნო ვაშლს ისარი...
მაშ მოხდეს შენი მშვილდი,
შენი ბედი შენს ხელთ არის.
ერთმანეთში აირია
ხალხის გმინვა და ვალალი,
კაცი ბოლმით ბუტბუტებდა
და ტიროდა მოთქმით ქალი.
ამ ქვეყანამ ბევრი ტანჯვა
და ტკივილი განიცადა,
მაგრამ აქ ხალხს, ჯერ სურათი
არ ენახა ამისთანა.
ტელი იდგა წარბშეკრული
თავის ნაქებ მშვილდ-ისრითა,
იდგა შვილს დაცილებული
ოცდაათი ნაბიჯითა.
ვაჟს ვილჰელმის დაყოვნებამ
მოთმინება დაუკარგა.
— ჰე, ისროლე, მამი, ჩქარა,
ეგ ჭოჭმანი როდი ვარგა,
მიზანს რაღა დღეს ააცდენ,
როცა მუდამ ისვრი კარგად?!
— ღმერთი იყოს შენი შემწე, —
ვილჰელმ ტელმა უთხრა შვილსა.
— ვიცი, ზეცა არ დაჰკარგავს
კაცს კაცისგან განაწირისა.
მაგ მხნეობამ ჩემი შიში

გააქარწყლა, დასცა ძირსა.
მხნედ მოზიდა ტელმა მშვილდი,
არ შეეძლო მეტი მოცდა,
ვაშლს ისარი დაუმიზნა
და ისარი მიზანს სტყორცნა.
კარგია და დიდებული!
მბრძანებელმა დაიძახა.
ვილჰელმ ტელის საქმით ყველამ
სასწაული დაინახა.
ფულადია როგორც მამა,
ისე შვილი საოცარი.
შინ წავიდნენ და აძოვონ
ძველებურად მინდვრად ცხვარი.

— მე მადლობას შენ ვერ გეტყვი,
რომ მოიღე მოწყალება,
მადლობა ღმერთს! — სთქვა
ვილჰელმმა, —
ჩემი შველა მან ინება.
ცოცხალი ვერ დამრჩებოდი,
ვერ ნახავდი შენს კარგ ბინას,
დღეს ისარი უცაბედად
რომ ვაშლისთვის ამეცდინა!
ამ მეორე ისარს ხედავ?!
შენთვის მქონდა იგი მზადა;
ღმერთს მადლობა შეეფადე,
რომ პირველი ვაშლს არ ასცდა!

სთარგმნა ინგლისურიდან
მაკვალა ყიფშიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. გოგიაშვილი

რუხი მგელი

ნახატები ს. ბაბაშვილისა.

იგავი ერთ მოქმედებად

მოქმედნი:

1. მთხრობელი
2. კრავი
3. კურდღელი
4. მელია
5. ტურა
6. მგელი
7. წითელი ხარი
8. ბაჭია

(ბილიკი. ხე. მდინარის ნაპირი).

მთხრობელი

რუხი მგელი, შიშის მგვრელი,
ღრიალებდა ტყეში;
ძუნძულებდა... ვეღარ ნახა
გასაძღომად ლეში.
აქეთ ეცა, იქით ეცა,
ვერავინა ნახა,
პირზე დორბლი მოსდიოდა
უშრებოდა ხახა.
რუხი მგელი, შიშის მგვრელი,
ღრიალებდა მწარედ,
სამი ღამე გაათენა
ხეტიალში გარეთ.
დიდრონ თვალებს აცეცებდა
შეშლილ ფეთარს გავდა;
წინ რომ ვინმე შეხვედროდა,
არვის დაზოგავდა.
მდინარისკენ გამობრუნდა
შმაგი და პირღია,
ღრიალებდა, იძახოდა:

მგელი

მშია... მშია... მშია...

მთხრობელი

მსუნაგობდა აქეთ-იქით
ხესთან მოირბინა,
იქვე მიწვა ხის ძირში დ.
მშიერს, ჩაეძინა...
(მთხრობელის ტექსტზე სრულდება მგლის მოქმედება),
და შემდეგ კი, მეგობრებო
მოხდა ეს ამბავი:
საძოვარზე დადიოდა
ქორფა, ნაზი კრავი,
მდინარესთან რომ შევიდა
ძირს დახარა თავი;
სურდა წყალი დაელია
მაგრამ მგელი ავი
კრავის სუნზე წამოვარდ.
გაილოკა ტუჩი,
დაიყვირა:

მგელი—

ეი, ვინ ხარ
მთლად ბრიყვი და ურჩი!
მე თევზს ვიჭერ, შენ კი მიფრთხობ,
რას ჩამდგარხარ წყალში,
ასეთ უჭკუობისათვის
მიგცემ სამართალში.

კრავი

მე... ბატონო... თქვენ რას გიშლით...
რად მხვევთ ცეცხლის ალში,
როდის იყავ მებადური
ამ უთევზო წყალში...

მგელი

რაო, რაო! ეს რა ბრძანე,
რა ხმა მესმის შენი,
ეხლა აქვე მოისმინე
მკაცრი განაჩენი.

მთხრობელი

სთქვა მგელმა და კრავს დაუტა...
თავში ჩაჰკრა თათი;

მგელი

შენ ბრალდება ერთის ნაცვლად
დაგედება ათი.

კრავი

მე... რას მერჩით უმიზეზოდ
რას მიპირებთ ნეტავ,
მე... არა ვარ დამნაშავე
არ მომიკვდეს დედა.

მგელი

ხმა ,ხმა, კრინტი, ჩუმად მეთქი,
შეურაცხმყე აქ მე,
ეხლავ უნდა გავარჩიო
ეს ბინძური საქმე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასამართლოს თავმჯდომარე
რა თქმა უნდა მე ვარ,
მდივანი და მსაჯულებიც
აგერ შენს წინ ვდგევარ.
სასამართლომ, მიიღო რა
ეს ბრალდება მტკიცედ,
რომელიც ჩვენ სრულ ფაქტებით
აქვე დავამტკიცეთ—
დაადგინა: ურჩი კრავი
დაისაჯოს მკაცრად...
უკმეხ თქმისთვის, მეესაჯოა
გრძელი ენის აცრა...

მთხრობელი

სთქვა მგელმა და ქორფა კრავი
იქვე მოჰკლა ჩქარა,
თავის ურჩი ბასრი კბილი
ხორცში გაატარა.
შორი გზიდან მოდიოდნენ
ამ დროს ტურა-მელა.
არხეინად იმოერიდნენ:
(შემოდიან ხელახლა გადახვეული
ტურა და მელა)

ტურა და მელა

ოდელია დელა....
ორნი ძმანი, ტოლნი, სწორნი
დავცურცულებთ ნელა.
ერთად ვეძებთ ტკბილ საკბილო
ჩვენ, ტურა და მელა.
გვიხარია, როცა ირგვლივ,
არვინ არის, ბნელა,
საქმისკენ ცუნცულისთვის
ჩვენ გვეძდურის ყველა...

მელია

გამარჯობა რუხო მგელო,

ტურა

გამარჯობა ნათლია;

მელია

ერთი კანჭი გვისაჩუქრე.

ტურა

გადმოგვიგდე, მადლია

მგელი

რას დადიხართ, დაეთრევით,
ტყეში, ბარში, მთაში,
ეცადეთ არ გამაბრაზოთ
თორემ გწვდებით თმაში...

მელია

გული რისთვის მოიყვანე

ტურა

რატომ ბრაზობ ნათლია?

მგელი

ყეყეჩებო! რომელ ქარმა
აქეთ ჩამოგათრიათ.

მელია

ძმაო ტურა, შეხე, შეხე,
სულ შესანსლა კრავი,

ტურა

ჩემო კარგო, როდის იყავ
შენ ასეთი ავი?

მელია

სული ჩაგვაბრუნებინე

ტურა

ნუ ხარ ასე ურიი...

მელია

შიმშილითა სული ძვრება,

ტურა

და მიხმება კუჭი.

მგელი

ახლოს მოდით, გამიგონეთ!
ჩაიცეკვეთ ჩქარა,
და სარეცელად მოგერთმევათ
კრავის თავის ქალა...

მელია

დაშოშმინდა...

ტურა

შევებრალეთ...

მელია

მგელო, დაჰკარ ტაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურა
რა სჯობია ქეიფობას

მელია
საღამო ხანს მთაში...
(მგელი ტაშს უკრავს, მელია და ტურა ცეკვავენ).

მგელი
მორჩით თამაშს? ახლოს მოდით,
გამოსწეიეთ ხელი,
(მელია და ტურა ხელს გაუშვერენ)
ეხლა თქვენი გაქცევა კი
ჩემგან არის ძნელი... **(დაიჭერს)**

მელია
ვაი ხელი, ვაი ხელი...

ტურა
ვაი მომტყდა მკლავი.

მგელი
თქვენღა დამრჩით, ჩერჩეტებო,
ორივ მოსაკლავი.

მელია
რუხო მგელო, სანატრელო,
მე რას მერჩი ძმაო,

ტურა
მეც ხომ შენი ჯიშისა ვარ?!.

მგელი
რაო ,რაო, რაო?
ცბიერობით გინდათ თავზე
გადამასხათ ლაფი?
აბა სთქვით თუ ეხლა პირველს
რომელს გიქნათ ყლაპი?

მელია
ჩემი ხორცი ხომ იცი რომ
უგემური არი,

ტურა
ვშიშობ, რომ არ გაგეჩხიროს
ყელში ჩემი ძვალი.

მგელი
ეძარა, თავს ნუ იკატუნებთ
მოემზადეთ მალე...

მელია
ნუ დაგვხოცავ რუხო მგელო...
შენ კი გენაცვალე.

ტურა
ოღონდ ეხლა, გეხვეწებით
ჩვენ გაგვიშვი ხელი,

მელია
სიტყვას გაძლევთ, ძოგიყვანთ
მსხვერპლი გემრიელი...

ტურა
მოგირეკავთ ნაირ-ნაირს,
ჩაიტკბილე ყელი,

მელია
პირობას ვდებთ: რომ ყოველთვის
გაგიმართოთ ხელი...

მგელი
კარგი, ენახოთ... **(ხელს გაუშვებს)** ხელს
გაგიშვებთ

და გახსოვდეთ მუდამ,
თუ იცრუეთ, სადაც გნახავთ
იმ წუთში გაგგუდავთ...
(ტურა და მელია გადიან. მგელი დადის აქეთ-იქეთ).
შიში უნდა ჰქონდეთ ჩემი
დიდს, პატარას, ყველას...
მაგრამ გული მსხვერპლს მოითხოვს,
გული მაინც ღელავს...

(ჩაჯდება)

კურდღელი
(მოიმღერის, მოაქვს კომბოსტ სტაფილო)
მე ფეხმარდი კურდღელი ვარ
თავს ვაფარებ ბუჩქებსა,
ღამით ხშირად ბოსტანში ვარ
ვაცმაცუნებ ტუჩებსა...
მე პატარა ყურაქვიტა ვარ
ფეხმარდი, გრძელ ყურება,
მიყვარს კოტა მინდორ-ველი
მიყვარს ნაზი ბუნება...

4091

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი

შესდექ! საით მიბრძანდები,

კურდღელი

გა... მა... რჯო...ბა... თქვენი...
იცოცხლე და იდღეგრძელე
გაგიგრძელდეს დღენი...

მგელი

ვისთვის მიგაქვს ნაქურდალი
ეგ პატარა ძღვენი?

კურდღელი

არავისთვის... ეს საჩუქრად
მე თქვენ მოგიძღვენით.

მგელი

რაო? გინდა გამაცურო?
სად ხარ დღევანდლამდე,
როდის იყო, რომ კომბოსტოს
ან სტაფილოს ვჭამდი.
სად იშოვნე ეგ საკბილო
როგორ მოიპარე?
აქ მომეცი შენი ხელით...
ეხლავ ჩამაბარე...

(კურდღელი აძლევს)

მგელი

(დახედავს) ჩემს ბოსტანში მოგიპარავს
არამზადა, ქურდო,
აქეთ მოდი, რომ ეგ ცხვირი
მაგრად გაგიმრუდო...

კურდღელი

რასა ბრძანებთ, ეგ კომბოსტო
სულ არ არის თქვენი,
ბოსტანი მაქვს ტყის ნაპირას
მე ვარ მისი მცველი.
მოვწყვიტე და მოვდიოდი
არზეინად, ნელა,
რომ ამავ დროს გზაზე შემხვდა
ქურდ-ბაცაცა მელა...
შემდეგ, ტურაც მომეგება
ბევრი მსდიეს გზაზე,
მარდ სირბილით მე ისინი
ძლიერ გავაბრაზე.
როცა ველარ დამიჭირეს
მითხრეს ეს სათქმელი...
მარჯვნივ წადი, თორემ მარცხნივ
შეგჭამს რუხი მგელი.
დავუჯერე, და მარჯვნისკენ
წამოვედი ჩქარა,
მომატყუეს... და მათ პირში
გამომივლეს ჩალა...

მგელი

რაო, რაო?... აქ შენს ნათქვამს
აქვს სიცრუის დაღი.

კურდღელი

როდის გქონდათ თქვენ, ბატონო,
ბოსტანი ან ბაღი?

მგელი

შენ, ენა ნუ წაიგრძელე
ჩერჩეტო და ბრიყვო,
მინდა ყველა ცხოველების
მეფეთ-მეფე ვიყო.

(კურდღელი აპირებს გაპარვას)

არა, ვერსად გამექცევი **(წინ გადაუდგება)**

მოგსპობს ჩემი ხელი,
შენი ხორცით კარგად უნდა
ჩავიტკბილო ყელი.

კურდღელი

ნუ დამღუპავთ... გეხვეწებით.
მელოდება შვილი,
სიტყვას გაძლევთ თქვენს საქმეში
შევიტანო წვლილი.

მგელი

ხმა გაკმინდე... შე უტვინო,
შენ რა შეგიძლია...
უშენოდაც ჯერჯერობით
მე ვერავინ მძლია.

(ჩაავლებს პირს და გაარბენინებს. შემოდიან თავშეხვეული მელა და თათჩამოკიდებული ტურა)

მელია

ვაი დედა... როგორ მტკივა
ეს ოხერი თავი...

ტურა

ვაი დედა... არ მასვენებს
ეს დაჭრილი მკლავი.

მელია

მე ამდენი ხეტიალი
აღარ შემიძლია...

ტურა წელში ველარ ვიმართები
ისე ძლიერ მშია...

მელია

იმ ოხერმა წითელ ხარმა
მაგრად მხეთქა თავში...

ტურა

მე კი უცბად ერთის დარტყმით
გადამაგდო ხრამში...

მელია

ჩუმად... მგონი ვიღაც მოდის,
დავიმალოთ ჩქარა...

ტურა

არა გვიშავს მგონი ეხლა
ბედი დაგვეხმარა...

(ამოეფარებიან ხეს. შემოდის ბაჭია, რომელიც სტირის და ცრემლებს კომბოსტოს ფურცლით იწმენდს)

ბაჭია

(მღერის სევდიანად)
ნეტავ სად არის დედიკო,
ნეტავ რად დაიგვიანა,
ვაი თუ მტერი წაწყდა
და ვერ მოიქცა ჭკვიანად.
დედიკო, ჩემო დედიკო,
სულ შენსკენ მრჩება თვალები,
სადა ხარ, რათ არ მოდიხარ,
შენს სახელს ვენაცვალები.

(სტირის)

(მელა უჩურჩულებს ტურას ყურში, რის შემდეგ შემოუვლიან წრეს და შუაში მოიქცევენ ბაჭიას)

მელია
რა გატირებს ჩემო კარგო?

ტურა
რატომ მოსთქვამ მწარედ?

ბაჭია
ბინდდება და დედა არ სჩანს.

მელია
ალბათ დარჩა გარეთ,
მომეც ხელი, მოგინახო
საყვარელი დედა.

ტურა
გავყვეთ ბილიკს, შენ ღამეში
ალბათ ცუდათ ხედავ...

ბაჭია
(უკან იხევს) არა... არა... კარგად ვხედავ
არ მჭირდება შველა,
გზას გავიგნებ უთქვენოდაც
და არც ისე ბნელა.—

მელია
(უცბად მოიფიქრებს) საცოდავი
დედაშენი
შემხვდა სოფლის ტბასთან.

ტურა
დაჭრილია... დაგვიბარა
წაგიყვანოთ მასთან.

ბაჭია
სიარული კარგი ვიცი
წავალ მარტოხელა,
ეხლა თავს ნუ შეიწუხებთ,
შენ ტურავ და მელა...

(გაიქცევა, დასდევენ, უვლის წრეს, ბაჭია გარბის, ტურა და მელა ერთმანეთს შეეფეთებიან წინ, დაეჯახებიან, წაიქცევიან. შემოდის მგელი).

მგელი
რა მარულა გაგიმართავთ,
რას დარბოდით მწარედ?

მელა
ჩვენ... სირბილში შეეეჯიბრეთ...

ტურა
ძლიერ დავიღალეთ...

მგელი
რა სირბილში, როგორ სცრუობს,
მელავ შენი სახე,
ბაჭიაც რომ გაგეპარათ
კარგად დაგინახეთ.
რომ არ ვარგხართ—მე ეს ვიცი
მწამს და ასე მჯერა...
ეგ მითხარი, თუ ეგ თავი
შენ ვინ გაგიბერა.

მელია
რუხო მგელო, წითელ ხარმა
წიხლი ჩამკრა თავში...

ტურა
მე კი ხარმა მაგარ დარტყმით
გადმისროლა ხრამში...

მგელი
რაო? ხარი? ეგ ვინ არი?

მელია
ძლიერია მგელო,

ტურა
მხოლოდ შენ თუ მოერევი
ნათლი... შიშის მგვრელო...

მგელი
ძლიერრო! რაებს როშავთ,
წამომყევით თანა.
ჩემი ძმლევი ქვეყანაზე
არის ვინმე განა!

(მოისმის ხარის ხმა)

მელია
ჩუმად, ჩუმად... აგერა სდგას
ის წითელი ხარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგელი

თქვენ მიცქირეთ, თუ მას როგორ
მოვაგლეჯო მხარი.

(ტურა და მელია ხის უკან იმალებიან, გამოდის წითელი ხარი).

მგელი

არხეინად დასეირნობთ!
ვინ ბრძანდებით ნეტავ;
თავისუფლად სეირნობას
მითხარ, როგორ ბედავ?!

ხარი

მე ვარ ხარი, მეტად წყნარი,
ვშრომობ როგორც ხარი,
არვის ვერჩი, ვცხოვრობ მშვიდად
ბუნებას შევხარი.

მგელი

მე თუ მიცნობ... მე ვინა ვარ?
შევხვედრივართ გზებზე,
თუ გინახავს ან გსმენია
შენ რაიმე ჩემზე.

ხარი

როგორ არა... გიცნობ ვინც ხარ,
ქურდი, ხარბი, ფლიდი,
ასე გიცნობ თავიდან და
ასეთ მხეცად გთვლიდი,
შენი მუცლის გულისთვის
სინდისს ფულზე ჰყიდი,
უძლურ ცხოველს აწოკებ
სახელი გაქვს „დიდი“.
შევხვედრივართ... და შეხვედრას
შენ ვერ იტყვი ქებით,
დაგავიწყდა? ალბათ გახსოვს
ძალა ჩემი რქების...

მელია

რუხო მგელო, ჩვენო მხსნელო,
ხედავ? გამკობს ქებით,

ტურა

რას უდგეხარ, დაეტაკე,
ჩვენც დაგეხმარებით.

(იმალებიან ხის უკან)

მგელი

რაო, რაო?.. ლაპარაკით
ტყუილად ენას ნუ ღლით,
იმის შემდეგ გამიმაგრდა
კისერი და მუხლი.
ახლა სხვა ვარ (თავისთვის) უნდა
ვსინჯო
ამის რქების ძალა,

მთხრობელი

რუხი მგელი ხარს ქურდულად
ჩუმად მიეპარა.

(მგელი დაეტაკება ხარს, ხარი უკან დაიწევს)

მგელი

აჰა ნახე? ხომ გასინჯე
სიძლიერე ჩემი...
რაც სხვას ვუყავ, იგივეა
შენი განაჩენიც...

მელია

დასცხე მაგას.

ტურა

შეეშინდა...

მელია

კიდევ მიდი, მიდი.

ხარი

მუდამ იყავ ცბიერი და
გაიძვერა, ფლიდი.

(მგელი ისევ დაეტაკება... ხარი არ იძვრის)

მგელი

ტურა-მელავ... აბა ჩქარა
მომეხმარეთ... მალე..

მელია

არ შეშინდე... შენთანა ვართ

ტურა

ნათელი გენაცვალე.

(მელია კუდში ეცემა. ხარი წიხლის კვრით გააგორებს მას).

მელია

ვაი, კბილი, ვაი თავი...

ტურა

ადექ, ნუ წახდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია

წამოდგომა აღარ ძალმიძს
ვაი... ვკვდები... ვკვდები... (კვდება)

მგელი

ტურაკ! შენ არ მიღალატო,
მაგრად გაჰკარ კბილი,
მოტყუებით... მიეპარე
მას ხორცი აქვს ტკბილი.
(ტურა შეახტება უკანა მხრიდან... ხარი წიხლის კვრით ტურას ძირს გააგორებს)

ტურა

ვაი თავი... ვაი ტვინი...
მგონი მსხვერპლი ვხდები...
მომეშველე, რუხო მგელო,
ვაი... ვკვდები... ვკვდები... **(კვდება)**
(მგელი გამოექანება და დაეტაკება... ხარი ძლიერი მოქნევით მგელს რქენ ბზე წამოაგებს)

მგელი

ვაი.. ვაი...

მთხრობელი

ღრიალებდა,
მგელი ცოცხალ-მკვდარი.
გაძარჯვებულ ნაბიჯებით
გზას გაუღდა ხარი.
პატარებო! ეს ამბავი
თქვენს წინ ლექსად თქმული,
ვფიქრობთ არის ნამდვილი და
სწორი, მართებული.
მეგობრებო! ეს ივავი
მიხვდით თუ რას ამბობს?—
ყველას ასე ემართება,
ვინც სხვის შეშმას ლამობს.

ამ იგავის გასცენიურებისას, მოქმედ პირთა—იგავში გამოყვანილ ცხოველთა—სახეების შესაქმნელად დაგეხმარებათ ტექსტში დაბეჭდილ სურარები. კოსტიუმების შეკერვისა და ჩაცმის დროს ისარგებლეთ ამ სურათებით-

მგლის, ხარის, ტურას და მელიას როლების შესრულებელთათვის საჭიროა სათანადო ნიღბები, რომლებიც იყიდება სახელგამის მაღაზიაში. ბაბოს, კურდღლის და კრავის როლები უმჯობესია გოგონებმა შეასრულონ, უნიღბოდ, მეცირეოდენი გრიმით.

ყველა მოქმედი პირისთვის ტანსაცმელი იკერება ნარმის ან მის მაგვარი ქსოვილისაგან. შეიძლება გამოიყენოთ ნახმაროც.

ყურების, რქების და ჩლიქების გაკეთება შეიძლება შემდეგნაირად: ყურების, რქების და ჩლიქების ქაღალდის თარგს წაუსვამთ სასამბლის წებოს და გაკრავთ მარლაზე. მარლას, ვიდრე გაშრებოდეს, მიაღებინებთ ჩლიქის, ყურის ან სხვ. ფორმას, რის შემდეგ გამოაშრობთ და შეღებავთ სათანადო ფერად.

კუდების გასაკეთებლად აიღებთ მავთულს, ჩასდებთ მისივე ზომის ქსოვილის პარკში და ბამბით გასტენით. შემდეგ დაშლით თოკს, გასწეწავთ და წებოთი დააკრავთ, ან სუფთად მიაკერებთ კუდს ბოლოში.

ცხვრის როლის შესრულებლის კოსტუმს დაეწებებთ მატყლს. ფეხსაცმელი სასურველია იყოს შავი.

მთხრობელის ტექსტის წაკითხვა შეუძლია, როგორც ვაქს, ისე გოგონას, თავის საკუთარი ტანსაცმელით.

ალეკო შენგელია

ბ ა ნ ა კ ს ი

ხან მოლულუნე წყაროს ჩხრიალი
შემდეგ მდინარედ აღელვებული,
ხან მოფრენილი თოიდან ნიავი
და ტყის შრიალში ამღერებული!

ზეცა კრიალა და მოხასხასე
და მოციმციმე ვარსკვლავთ კრებული,—
ო, ეს მიდამო სიმღერით სავსე,
წარმტაცი, ლაღი და დიდებული!

აქ ერთობიან, აქ ისვენებენ,
გამარჯვებული ქვეყნის შვილები,
დაგოგმანებენ ცისფერ ველებზე
ყვავილებივით გულგაშლილები.

მათთვის მდინარეს მარდი მდინარე,
მათზე მოგვითხრობს ტყის შარიშური,
მაღლით დაჭნათის მზე პირმცინარე,
თეთრად ქათქათებს მთა დანისლული!

ლაღობს, ისვენებს და მხიარულობს
გახარებული ახალგაზრდობა...
აგერ გასცურა გვიმ მხარულით,
აგერ ოთარიმ მარდათ გასტოპა!..

აქ ერთობიან, აქ ისვენებენ,
გამარჯვებული ქვეყნის შვილები,
დაგოგმანებენ ცისფერ ველებზე
ყვავილებივით გულგაშლილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის დაბნელება

ძველად მზის დაბნელება ადამიანებს, რომლებსაც ვერ აეხსნათ ეს მოვლენა, თავზარს სცემდა, ავის მომასწავებელ ნიშნად ევლინებოდა. ადამიანი მასში ხედავდა „ღვთის რისხვას“.

სულ სხვანაირად უყურებს დღეს განათლებული ადამიანი მზის დაბნელებას—ბუნების ამ შესანიშნავ მოვლენას. არა შიშითა და ძრწოლით, არამედ უდიდესი მოუთმენლობითა და ინტერესით ელოდებიან ხოლმე ყველა ქვეყნის მეცნიერები მოწშენდილ ცაზე მზის ყოველ სრულ დაბნელებას. ამიტომ იყო, რომ, როგორც ყოველთვის, ისე 1945 წლის 9 ივლისს მომხდარ მზის დაბნელების დაკვირვებაში საბჭოთა ქვეყნისა და უცხოეთის მრავალმა სამეცნიერო ექსპედიციამ მიიღო მონაწილეობა.

რატომ ხდება მზის დაბნელება?

ჩვენი დედამიწა მზიური სისტემის ერთ-ერთი პლანეტაა, რომელიც მზის გარშემო ბრუნავს. ზოგიერთი ამ პლანეტების ირგვლივ ბრუნავს მათი თანამავლები. დედამიწის ირგვლივ ბრუნავს მისი თანამავალი—მთვარე. დედამიწა თავის გზას მზის ირგვლივ 365 ¼ დღე-ღამეში ანუ ერთ წელიწადში გადის, მთვარე კი დედამიწის ირგვლივ შემოირბენს დაახლოებით ერთ თვეში. აი ეს მთვარე არის მზის „დაბნელების“ მიზეზი. დედამიწა და მთვარე ბნელი, ბურთის მოყვანილობის სხეულებია. მათ საკუთარი სინათლე არა აქვთ. მთვარე რომ ანათებს—ეს მზის სინათლის ანარეკლია. მთვარე თავის ორბიტზე—თავის გზაზე დედამიწის ირგვლივ ყოველ შემოვლისას ზოგჯერ იმ მხარეზე მოიქცევა, საითკენაც ჩვენ მზის ვხედავთ .ამ დროს მთვარის ის ნახევარსფერო, რომელიც ჩვენსკენაა მოქცეული, განათებული არ არის და მთვარეს ჩვენ ვერ ვხედავთ. მაგრამ ეი მთვარის თავის გზაზე გადაიწია მარცხნივ (იხ. ნახაზი) და მზის მიერ განათდა მთვარის ვიწრო ნაწილი, გამორჩნია ნამგალა მთვარე. მაშინ ვიტყვით ხოლმე „ახალი მთვარეაო“. მთვარე განაგრძობს თავის გზას და მისი ბნელი ზედაპირის უფრო მეტი და მეტი ნაწილი იწყებს ნათებას—დიდება ნამგალი, სრული ხდება მთვარე. 14-15 დღის შემდეგ მთვარე თავის ორბიტზე მზის მოპირდაპირე მხარეზე მოექცევა და მაშინ ვიტყვით ხოლმე „სრული, საესე მთვარეაო“. მთვარე განუწყვეტლივ, კანონზომიერად განაგრძობს თავის მოძრაობას, მაგრამ ამჯერად თანდათან



მცირდება განათებული ნაწილი, კვლავ გამორჩნდება ნამგალა მთვარე, მხოლოდ ახლა ნამგლის ბოლოები უკეე სხვა მხრით არის მიმართული. ბოლოს დაეინახავთ სულ პატარა ნამგალს, რომელიც დილით — აისზე მოჩანს და შემდეგ ისიც გაჰქრება, მიილევა. მაშინ ვიტყვით ხოლმე „მთვარე დაილეაო“. ორი დღის შემდეგ მთვარე კვლავ გამოჩნდება საღამოთი — დაისის სხივებში, „კვლავ „ახალ მთვარეს“ ვიხილავთ ცის თაღზე. და აი სწორედ ამ „ახალი მთვარის“ დროს ხდება მზის დაბნელება.

როდესაც მთვარე ახალია, ზოგჯერ მზე, დედამიწა და მთვარე ისე განლაგდებიან, რომ მთვარე ზუსტად დედამიწისა და მზის შორის გაიელის, მზის სხივებს, ამრიგად, გზაზე გადაეღობება მთვარე და დაჩრდილავს, „დაბნელებს“ მზეს. მთვარის ჩრდილი დაეცემა დედამიწის ზედაპირს და ამ ადგილებისათვის მზის დისკო შავით დაიფარება, ნათელი დღე ღამით შეიცვლება, მზის დაბნელება მოხდება. აი რა მარტივად აიხსნება ბუნების ეს საგანგებო მოვლენა—მზის დაბნელება.

რატომ არის რომ ახალი მთვარე ყოველ თვეშია, მზის დაბნელება კი იშვიათადაა? იმიტომ, რომ მთვარე და დედამიწა არ ძრაობენ ერთ სიბრტყეში; პირიქით, ისინი ურთიერთ დახრილ სიბრტყეში ძრაობენ, ამიტომაც იშვიათად ხდება მთვარის ჩადგომა დედამიწისა და მზის შორის ისე, რომ მთვარის ჩრდილი დაეცეს დედამიწის ზედაპირს.

წლის განმავლობაში მზის დაბნელება შეიძლება მოხდეს ორჯერ-ხუთჯერ, ხოლო ეს დაბნელება გამოჩნდება დედამიწის სხვადასხვა სიგანედებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული ჩრდილის ფართობი, დედამიწას რომ იცავდა მზის სრული დაბნელებისას, არ აღემატება 270 კილომეტრს. სადაც ეს სრული ჩრდილია დედამიწაზე, იქ მზის სრული დაბნელება გვაქვს, ესე იგი მზის დისკო მთლიანად დაიფარება ისე, რომ ცის თაღზე დიდი ვარსკვლავები აინთებიან. ასეთი მოვლენა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 7-8 წამისა. სრული ჩრდილის გვერდებზე ნახევარჩრდილები არის (იხ. ნახაზი). სადაც ნახევარჩრდილები დაეცემა დედამიწის ზედაპირს, ამ ადგილებიდან მზის დისკო ნაწილობრივ დარჩრდილული მოჩანს, ამიტომ აქ გვაქვს მზის ნაწილობრივი დაბნელება. ეს მოვლენა ორ-სამ საათს გაგრძელდება. ნახევარჩრდილის წრის რადიუსი 3.000 კილომეტრს აღწევს. ამ ნახევარჩრდილებს გარეთ კი არავითარი დაბნელება არ არის,—იქ მზე წინანდებურად ანათებს, თითქოს არაფერი მომხდარაო.

ასტრონომიას — მეცნიერებას ციურ სხეულთა შესახებ—ისე კარგად აქვს შესწავლილი მზათოობა მოძრაობის კანონები, რომ მეცნიერებს წინასწარ, მრავალი ათეული და ასეული წლით ადრე შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ არა მარტო წელი და თვე, არამედ დღე, საათი, წამი და წუთიც კი მზის მოსალოდნელი დაბნელებისა.

გარდა ამისა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ყოველ 18 წელსა და 11 დღე-ღამეში დედამიწა და მზე კვლავ დაუბრუნდებიან წინანდელ განლაგებას და ამიტომ მზის დაბნელება კვლავ მეორდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც გასულიდ 18 წელსა და 11 დღე-ღამეში.

მზე ერთად-ერთი ციური სხეულია, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლე დედამიწაზე, ამიტომ მისი ფიზიკური მოვლენების გამოკვლევას, შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. თითქმის ყოველი დიდი ასტრონომიული ობსერვატორია მოწმენდილ დღეებში გულმოდგინედ აკვირდება მზიურ ზედაპირს და მასში არსებულ მოვლენებს, რომელთაც გავლენა აქვთ რადიოტალღების გავრცელებაზე, დედამიწის მაგნიტიზმზე, ამინდზე და სხვ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის მზის ატმოსფეროს გარეფენის —ქრომოსფეროს შესწავლას. ეს შესწავლა კი ხერხდება მხოლოდ მზის სრული დაბნელების დროს. როგორც კი მთლიანად დაიფარება მზის დისკო, მყისვე აინთება ქრომოსფერო და ამ დროს დამკვირვებელმა შეიძლება დააგროვოს იმდენი საკვლევი მასალა, რამდენსაც სხვა შემთხვევაში ათეული წლების გულმოდგინე დაკვირვებითაც ვერ მიიღებს.

გამოცანა

(წოგნიდან — „ზადიგი ანუ ბედი“)

დიდმა ქურუმმა ასეთი კითხვა დასვა: „რა არის სამყაროში ყველაზე გრძელი და ამავე დროს მოკლე, ყველაზე სწრაფი და ამავე დროს ნელი, ყველაზე დანაწილებული და ამავე დროს ვრცელი, ყველაზე მეტად დაუფასებელი და ყველაზე უფრო დანანებული, რომლის გარეშე არაფერი არ შეიძლება მოხდეს, რომელიც ყოველივე უმნიშვნელოს, პატარას აქრობს და ყოველივე მნიშვნელოვანს, დიდს აცოხველმყოფელებს?“.

ზოგმა თქვა ქონებაო, ზოგმა — მიწაო, სხვებმა კიდევ — სინათლეო. ზადიგმა თქვა, რომ ეს არის დრო: „არაფერია მასავით გრძელი, რადგან იგი არის მარადისობის საზომი; არაფერია მასზე მოკლე, რადგან იგი არ ყოფნის არც ერთ ჩვენს განზრახვას; არაფერია მასზე ნელი, მისთვის ვინც იცდის, და უფრო ჩქარი მისთვის, ვინც ბედნიერია; ის ვრცელდება უსასრულობამდე, როგორც ერთი მთლიანობა; ნაწილდება უსასრულობაში სულ მცირე ნაწილადად; ყოველი კაცი მას უყურადღებოდ სტოვებს; მის დაკარგვას კი ყველა ნანობს. უმისოდ არაფერი არ ხდება; ის მრავალი თაობების მიერ დავიწყებული უნდა იქნეს; და ის უკვდავჰყოფს ყველა დიდ მოვლენას“.

ფრანგულიდან სთარგმნა გივი დოლიძემ.

ეგგენი ფუღაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხიღავი სამყარო

უძველეს დროშიც კი ადამიანი არ კმაყოფილდებოდა მარტო საარსებო პური საკითხებით. მისი ცნობისმოყვარე გონება ცდილობდა ჩაწვდომოდა ბუნების საიდუმლოებათა. მას აინტერესებდა მზისა და მთვარის მოძრაობა, მზისა და მთვარის დაბნელება, ვარსკვლავიერი ცა, დედამიწის ფარგლები და ათასი სხვა საკითხი. ამ საკითხებს შორის ერთი პირველი ადგილთაგანი ეკავა საკითხს — როგორ და რისგან არის აგებული ნივთიერება, საგნები, რომლებსაც ჩვენ შევიგრძნობთ.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჯერ კიდევ ძველი ინდოელი მეცნიერნი შეეცადნენ, მაგრამ ეგამსაკუთრებით ნაყოფიერია ის მემკვიდრეობა, რაც ამ დარგში ბერძნება მეცნიერებმა დაგვიტოვეს. პირველ ცნობებში ამ საგნების აგებულების შესახებ ჩვენ ეპოულობთ ბერძენ მეცნიერთა ლევკიპისა და დემოკრიტეს თხზულებებში. ლევკიპს, რომელიც ცხოვრობდა დაახლოებით 500 წლის წინათ ახალ წელთაღრიცხვამდე დემოკრიტეს მასწავლებლად ითვლიან. მისი ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია დარჩენილი და ისიც არასარწმუნო.

დემოკრიტე

დემოკრიტეს, რომელიც დაიბადა დაახლოებით 470 წელს (ახალ წელთაღრიცხვამდე), უწოდებენ უდიდესს დიდ მეცნიერთა შორის.

ლევკიპისა და დემოკრიტეს თხზულებათ ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევიათ. დემოკრიტეს ნაწერებიდან დარჩენილია ცალკე ნაწყვეტები მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა საკითხებზე. გარდა ამისა ლევკიპისა და დემოკრიტეს მოძღვრებათა და მეცნიერულ შეხედულებათა შესახებ შემონახულია ცნობები მათ თანამედროვეთა და შემდგომი დროის მეცნიერთა შრომებში. ყოველივე ამის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ლევკიპისა და დემოკრიტეს მეცნიერული მსოფლმხედველობის შესახებ.

კერძოდ იმის შესახებ, თუ რა აზრისა იყვნენ ლევკიპი და დემოკრიტე ნივთიერების — საგანთა ბუნების შესახებ ვგებულობთ ბერძენი მეცნიერის ეპიკურეს (340-270 წ. ახალ წელთაღრიცხვამდე) თხზულებათა ნაწყვეტების მიხედვით. მარქსი ეპიკურეს „უდიდეს ბერძენ განმანათლებელს“ უწოდებს. მართალია ეპიკურეს თხზულებებსაც არ მოუღწევიათ ჩვენამდე სრული სახით, მაგრამ რომაელმა გენიალურმა პოეტმა და ფილოსოფოსმა ლუკრეციუს კარმა, რომელიც ცხოვრობდა 99-55 წლებში ახალ წელთაღრიცხვამდე, თავის შესანიშნავ მეცნიერულ პოემაში „საგანთა ბუნების შესახებ“ გადაგვირჩინა ლევკიპის, დემოკრიტესა და ეპიკურეს შეხედულებანი იმის შესახებ, თუ როგორ და რანაირად არის აგებული ნივთიერება, საგნები.

ლევკიპმა და დემოკრიტემ შემოიღეს ცნება „ატომი“. ატომი ბერძნული სიტყვაა და განუყოფელს ნიშნავს.

ლევკიპისა და დემოკრიტეს აზრით, ყოველი საგანი, ნივთიერება შესდგება უსასრულოდ პატარა უხილავი წილაკებისაგან. ეს წილაკები, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, განუყოფადი არიან (ამიტომ უწოდეს ამ წილაკებს „ატომი“ — განუყოფელი) და შეადგენენ ნივთიერების ძირითად აგურაკებს. ყველაფერი, რაც ქვეყნიერებაზე არსებობს, ატომთა ნაირგვარი და სხვადასხვა რაოდენობით შეერთების ნაყოფია. ყოველი მოვლენა, რაც ქვეყნიერებაზე ხდება, იმის შედეგია, რომ ატომები მოძრაობენ სივრცეში, ერთმანეთს უერთდებიან სხვადასხვა სახით, შემდეგ ეს კომბინაციები აშლება, წარმოიქმნება ახალი და ასე მიმდინარეობს დაუსრულებლად. დემოკრიტეს აზრით ქვეყნიერებაზე არსებობენ მხოლოდ ატომები და სიცარიელე. დემოკრიტეს ატომები ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ ფორმით, სიდიდით, განლაგებით. ეპიკურემ მთლიანად მიიღო დემოკრიტეს ატომური მოძღვრება და განავითარა იგი. მაგალითად ეპიკურეს თანახმად, ატომები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფორ-

მითა და სიღიღით, არამედ სიმძიმითაც. „ეპიკურე, — წერდა ფრიდრიხ ენგელსი, — ატომებს მიაწერდა არა მარტო სხვადასხვა სიდიდეს, არამედ სხვადასხვა წონასაც, ესეიგი მან თავისებურად უკვე იცოდა ატომების წონა და ატომური

ეპიკურე

მოცულობა“. დემოკრიტე ლაპარაკობდა ატომთა უსასრულო რიცხვზე, ეპიკურე კი ატომთა ნაირსახეობის დიდ რაოდენობაზე. ეპიკურეს თითქო განაკვირტა მომავალ საუკუნეთა მეცნიერებას მიღწევა. ის ასწავლიდა, რომ ყველა ატომი სიცარიელეში ერთნაირი სიჩქარით უნდა მოძრაობდეს. ეპიკურემ განავითარა აგრეთვე დემოკრიტეს მოძღვრება ატომთა მოძრაობის შესახებ.

ძველმა ბერძნულმა, ანუ როგორც მეცნიერები უწოდებენ, ანტიკურმა ატომისტურმა მოძღვრებამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. იგი მძლავრ იარაღს წარმოადგენდა სხვადასხვა ცრუმორწმუნეთა წინააღმდეგ ბრძოლაში და კაცობრიობის დიდი მასწავლებლები—მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი მაღალ შეფასებას აძლევენ მას ამ მაღალ შეფასების მაგალითს წარმოადგენს მარქსის სიტყვები: „ბერძნები სამუდამოდ ჩვენს მასწავლებლებად დარჩებიანო“.

ბეგრი ჰირვარამი გამოიარა ევროპამ მას შემდეგ, რაც ძველი ბერძენი მოაზროვნე მეცნიერები ხმელთაშუა ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირებთან ატომისტურ მოძღვრებას ქმნიდნენ. დაეცა საბერძნეთი, დაეცა თითქმის მთელი მსოფლიოს მბრძანებელი რომის იმპერიის ძლიერება, რომელიც მონათა რევოლუციამ და ბარბაროსთა შემოსევამ შეარყია, სამხრეთ-დასავლეთით ევროპას არაბები შეესივნენ, აზიისაკენ მიმავალი გზები ევროპელებს გადაუკეტეს თურქებმა, რომლებიც კონსტანტინოპოლსაც და სრუტეებს დაეპატრონენ, მფლობელობაში ბატონყმური ფეოდალური რეჟიმი გამეფდა და ჩამოწვა შუა საუკუნეების ბნელი ღამე, როცა ადეგზებოდა ყოველგვარი ცოცხალი აზრი.

აღორძინების ეპოქის შემდეგ (XIV-XVI საუკუნეები), რომელიც ხასიათდება უდიდესი აღმოჩენებითა და გამოგონებებით, ინტერესის გაღვიძებით ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურისადმი, ძველი ბერძნული ატომიზმი კვლავ ღორძინდება XVII საუკუნის დასაწყისში, იმ დროის გამოჩენილ მოაზროვნეთა და მეცნიერთა შრომებში.

უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან ფიზიკოსები და ქიმიკოსები იწყებენ ატომის ცნებით სარგებლობას გარკვეული პრაქტიკული მიზნებისათვის — ნივთიერების თვისებებისა და ქიმიურ მოვლენათა ასახსნელად.

ლუკრეციუს კარ.

ინგლისელმა მეცნიერმა რობერტ ბოილმა (1626-1691 წ.), რომელმაც, — როგორც ფრიდრიხ ენგელსი სწერს, — „ქიმიიდან მეცნიერება შექმნა“, ატომური მოძღვრება გადმოიტანა ქიმიაში. როგორც აგურაკი, რომლისაგანაც ყოველი ნივთიერება შესდგება. უფრო მეტი, რობერტ ბოილოს აზრით, ნივთიერებათა შეერთებადაშლა — ქიმიური რეაქციები ატომთა შეერთება-დაშლის შედეგია.

ამ დროიდან ატომი შემოდის მეცნიერებაში, როგორც რეალური ნივთიერი წილაკი.

მაგრამ საბოლოოდ მეცნიერული ხასიათი ატომისტურმა მოძღვრებამ, როგორც ახალი ფიზიკისა და ქიმიის საფუძველმა, მიიღო ინგლისელი მეცნიერის ჯონ დალტონის შრომებში. ამიტომ დალტონი ითვლება ახალი ატომისტიკის შემქმნელად.

გიორგი ლომთათიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კულტურის ძველი კერა

წერილი მესამე*)

ჟართლის ეროსთავთა ნაგუდარი არ-მაზისხევზე

მცხეთის სადგურს დასავლეთით, კილომეტრ-ნახევრის მანძილზე მტკვარს ერთვის წყალმცირე, მაგრამ ღრმა ხევი. იგი სამხრეთიდან, „დიდი მთიდან“ მოედინება და გარდიგარდმო ჰკვეთს ქედს, რომელსაც ძველად არმაზის სახელი ერქვა, — ისევე, როგორც მის აღმოსავლეთ ბოლოზე ძველადვე ციხე-ქალაქს („არმაზციხე“).

არმაზისხევის ეშესართვეთან, მტკვარსა და რკინიგზის ლიანდაგს შორის ერთი მოზრდილი ეკაეა. ბოლო ხანებამდე იგი ძველების, სანნავ-სათეს მინდორს წარმოადგენდა, ხოლო 1937 წლის შემდეგ მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაუცხრომელი მუშაობის სარბიელად იქცა. საერთოდ მცხეთის გათხრებმა უმთავრესად სწორედ არმაზისხევის ძეგლთა წყალობით აღძრეს საყოველთაო დიდი ინტერესი. სადღეისოდ, როდესაც არმაზისხევთან უკვე ექვსწლისაა საველე მუშაობა ჩატარებული (1937-38, 1940-41 და 1943-44 წლებში) და მეკვრმეტყველი მასალაა დაგროვებული, შეგვიძლია ბევრი რამ წარმოვიდგინოთ და ბევრი დასამდვილებითაც კი ვამტკიცოთ.

ახალი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნეებში, ე. ი. ათასექვსასი — ათას-რვაასი წლის წინათ ამ მინდორზე უცხოვრია ქართლის ანუ იბერიის სამეფოს ერთ-ერთი უმთავრესი დიდებულის საგვარეულოს. მისი სასახლე იმდროინდელი ხუროთმოძღვრების წესისამებრ, საუკეთესო თლილი ქვით ნაგები, მოჩუქურთმებული სვეტებითა და ლავგარდნებით დამშვენებული ყოფილა. სასახლეს მიდგმული ჰქონია პატარა საშინაო ბანო, რომლის მიწისქვეშა სართული თითქმის მთლიანად შემორჩენილი დახვდათ არქეოლოგებს (სულ ადვილად გამოიცხობა ცეცხლის სანთები — თაღიანი კერა— წყლის სათბობი განყოფილება, ხევიდან მომავალი თიხის წყალსადენი, სანაცო აუზი, ნაბანევი წყლის მტკვრისაკენ ჩამყვანი თიხის მილები და სხვ.). თვით სასახლისა კი თითო-ოროლა ჩუქურთმიანი ქვა თუ სვეტისთავი-ღაა გადარჩენილი.

არქეოლოგებისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ის გამოდგა, რომ სასახლის მფლობელებს თავისი საგვარეულო სასაფლაოც იქვე ახლოს ჰქონიათ მოწყობილი.

სწორედ სასაფლაომ, მისმა მდიდრულად ნაგებმა და მტკიცედ (ტყვიით ჩადუღებული რკინის გაძარებით) შეკრულმა ქვაყუთებმა შემოგვინახა ყველაზე უფრო ძრავალრიცხოვანი და უვნებლად დაცული ძეგლები იმ ხანისა და იმ დიდებულთა საგვარეულოს რამდენიმე თაობის ფუფუნებით ცხოვრებისა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

უმდიდრესი ქვაყუთები აღმოჩენილ იქნა 1940 წლის შემოდგომაზე. პირველი ორი ერთ დღეს აიხადა და მათი სიღრმიდან მანამდე უჩვეულო, თვალისმომჭრელმა ელვარებამ შემოანათა სახლში მომუშავეთა და დამსწრეთ. განსაკუთრებით მრავლად იყო ოქრო-ვერცხლი ბანურსახურავიან, მამაკაცის სამარხში. აქ სამკაულთაგან, უბრველეულ ყოვლისა, ყურადღება მიიპყრო ოქროს დიდმა თვალწარეულმა ბეჭედმა. მის თვალზე ფაქიზად ამოკვეთილია ხნიერი, ცხვირკეხიანი და გრძელწვერა კაცის პროფილი, ხოლო პროფილს გარშემო წარწერა: „ასპარუკ პიტიახში“. წარწერა ამავე წამს ამოიკითხეს და ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ექსპედიციამ აღმოაჩინა ერთ-ერთი მანამდე უცნობი პიტიახშის სამარხი, მისი ჩონჩიხის მცირეოდენი ნაშთები, მისი ჩაცმულობა — მოკაზმულობით, ჭურჭლეულითა და სხვა ნივთებითურთ. ამ ნივთთა შორის იყო 7 ოქროს ფული, ზოგი I და უმეტესობა კი II საუკუნეში მოჭრილი. აბრიგად, გამოირკვა, რომ ქართლის სამეფო-

*) წერილები მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შესახებ. დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 1, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში უკვე ახ. წ. II საუკუნეში ყოფილან პატიახშები და რომ იმ დროს სწორედ მათ სამფლობელოს წარმოადგენდა ქართლის დედაქალაქის შორიახლოს ჩამომდინარე არმაზისხევის ლამაზი მიდამოები.

1940 წლამდე კი ჩვენი მეცნიერები მათ ხელთ მყოფ ისტორიული წყაროების მიხედვით ფიქრობდნენ, რომ პიტიახშის თანამდებობაც და თვით ეს სიტყვაც საქართველოში შემოღებულ იქნა მხოლოდ V საუკუნეში, მას შემდეგ, რაც აქ სპარსელებმა ფეხი მოიკიდეს და თავიანი პოლიტიკური გავლენა დაამყარეს.

ახალი ფურცლები ძველი საქართველოს ისტორიაში

პატარ-პატარა წარწერები თუ პორტრეტული გამოსახულებანი ასპარუგის ბეჭედს გარდა ზოგ სხვა ნივთსაც აღმოაჩნდა. მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებულ იღბლიანობად უნდა ჩაითვალოს მოგზება ერთ-ერთი გვიანდელი დარიბული ქვაყუთისა, რომლის გრძივ კედლებად, მომშვენებლის გამო, ძველ საფლავებზე მდგარი წარწერიანი ქვები გამოუყენებიათ და ამით ეს უკანასკნელი მოსპობისაგან გადაურჩენიათ.

ყველა ამ წარწერებმა და პორტრეტებმა დიდძალი უტყუარი მასალა მისცეს მეცნიერებას II-III საუკუნეთა ქართლის სამეფოს ისტორიის ხელახლა გასაშუქებლად. მათ გამოავლინეს რამდენიმე მანამდე სრულიად უცნობი მეფისა თუ დიდგვაროვანი სახელმწიფო თანამდებობის პირი, თვალნათლივ წარმოგვიდგინეს მათი გარეგნობა და დაადასტურეს ორი ისეთი მეფის არსებობა, რომელთა სახელები მანამდეც ვიცოდით სხვა წყაროთა მიხედვით, ესენი არიან ფარსმანი (ჩვენს პირველ წერილში არა ერთხელ მოხსენებული) და მიჰრტადი.

დიდრონ წარწერებში მოთხრობილმა ამბებმა მკაფიო სინათლე მოჰფინეს იმდროინდელი ქართლის სახელმწიფოებრივ აგებულებას. ქართლს სათავეში სდგომია „ქართველთა დიდი მეფე", რომელსაც ექვემდებარებოდნენ „დიდი ერისთავები", „მცირე ერისთავები", „ეზოსმოძღვრები" და სხვ. ქართლის ჯარს ჰყოლია სარღლები და მთავარსარდლები, რომელთაც მრავალი ძლევამოსილი ლაშქრობა ჩაუტარებიათ და განუმტკიცებიათ თავიანი სამშობლოს ძლიერება.

სრულიად აშკარაა, რომ ამ დროს ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ნამდვილ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მეფის მტკიცე ხელი და მისი ხელქვეითი, დიდპატარა მმართველები განაგებენ.

დიდ მმართველთა წრეს ეკუთვნიან: მაზისხევთან, თავიანი სასახლის მახლობლადვე დაკრძალული ასპარუგ-ერისთავი და მისი წინაპარ-შთამომავალნი.

ასპარუგის სარტყლის ერთ-ერთ ბალთაში ჩასმულ. დიდ წითელ ქვაზე ამოკვეთილია ქალისა და კაცის პროფილები, ხოლო

ქალის სამარხში აღმოჩენილი ოქროს სამკაულები. სამაჯურები, სარტყლის აბზინდები, გულსაკიდი და სხვ

ირგვლივ — წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ კაცი — ზევახ ერისთავია და ქალი მისი მეუღლე კარპაკი. საფიქრებელია, რომ ზევახი და კარპაკი ასპარუგის შვილები იყვნენ და ამ უკანასკნელს სამახსოვროდ ჩაუკრავს მათი სურათი ძვირფას სარტყელში.

ზევახ ერისთავი იხსენიება აგრეთვე იმ ქვის წარწერაში, რომელიც მდგარა მისი ასულის, 21 წლის ასაკში გარდაცვლილ მშვენიერი სერაფიტის საფლავზე. ამავე წარწერაში ნახსენებია: ქართველთა დიდი მეფე ქსეფარნუგი (რომლის დროსაც ყოფილა ერისთავად ზევახი); სერაფიტის მეუღლე, მთავარსარდალი იოდმანგანი; ამ უკანასკნელის მამა, უწინდელი მეფის, ფარსმანის ეზოსმოძღვარი აგრიფა და სხვ.

მესამე სამარხში, რომელშიც აგრეთვე იყო მდიდრული სარტყელ-სატეკარი, აღმოჩნდა ვერცხლის დიდი, მოჭედილი ლანგარი. მის ძირზე ამოჩხვლეტილია მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველი წარწერა: „მე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე ფ... ლ... დადესმა გიბოძე ბერსუმა ერისთავსს". მაშასადამე, ამ სამარხში დაკრძალული ყოფილა ფ...ლ... დადეს მეფის ერთგული ერისთავი, სახელად ბერსუმა.

ერთი ბეჭდის თვალზე გამოხატულია ჩაფხუტიანი მამაკაცის პროფილი, როშელსაც ქვემოდან უწერია „ზვს" (ალბათ აგრეთვე „ზევსი"). მეორე ბეჭდის თვალზე ამოკვეთილ პორტრეტს უწერია „პლატონ", მესამე ბეჭდის რკალზე შიგნიდან ამოკაწრულია სახელი „ადადი". 1944 წელს აღმოჩენილ ოქროს ბრტყელ-მუხლოვანი სამაჯურებს შიგა ზედაპირზე ვხედავთ აგრეთვე ამოკაწრულ წარწერას, რომელიც ჯერ არაა ძალად ამოკითხული.

მიცვალებულთა საბაღძური

სიცოცხლეში შეძლებულსა და ფუფუნებით მცხოვრებ ადამიანებს არც საიქიოში ისტუმრებდნენ ღარიბულად მათი ჭირისუფლები. სამარხში ჩასვენებულთან ერთად ტანდნენ ყველა იმ მდიდრულ ტანსაცმელს, საჭურველს, სამკაულსა და ჭურჭელს, რომელნიც მათ სიცოცხლეში ჰკუთვნებიათ თუ საზეიმო შემთხვევებში უტარებიათ. ამასთანავე წესად ჰქონიათ ოქროს და ვერცხლის ფულის ჩატანებაც (როგორც ვიცით, ეს წესი დაუფასებელ სამსახურად უწევს არქეოლოგებს, ვინაიდან ფულითითქმის ყოველთვის საფსებით საკმაო ზუსტით ათარიღებს სამარხს).

ვერცხლისა უმთავრესად ჭურჭელი გვხვდება: სურები, ჯაღები, თასები, ლანგრები და სხვ. მათი უმეტესობა შემკულია ამოკაწრული თუ ამოჭედილი სუროათებით და ნაირნაირი ორნამენტებით. მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე ჯაღი: ერთზე გამოხატულია მეფე, რომელიც ყვავლის ყნოსავს, ორზე—საკურთხევლის წინ მდგარი, ფეხაწეული ცხენი (სხვადასხვანაირად დახატული); ერთში ჩაკრულია ვერცხლისავე ქანდაკება (ხუმუმა თმაწვერიანი მამაკაცის თავ-მკერდი) და კიდევ ერთში — ქალწმერთის რელიეფური გამოსახულება. ესენიც და ზოგი სხვა ჭურჭელიც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია.

გაცილებით უფრო მეტი და მრავალფეროვანია ოქროს ნივთები, რომელნიც თითქმის უკლებლივ დამშვენებული, ხოლო ზოგჯერ მთლად მოოქვილი არიან ძვირფასი ქვებით, ანუ ძველი ქართველი რომ ვთქვათ, პატოსანი თვლებით.

როგორც კაცის, ისე ქალის სამარხებში ყველაზე მეტი, რასაკვირველია, სამკაულია. აქ ვხედავთ: მრავალსა და ჭრელ-ჭრელ ბეჭედს (რომელთა თვლებზე ძალიან ხშირადაა ამოკვეთილი ვისიმე პორტრეტი, რაიმე ბუნებრივი თუ ზღაპრული არსება ან მითოლოგიური შინაარსის რამ სურათი), სამაჯურებს, საყურეებს, ყელსაბამებს, გულსაკიდებს, საშუბლე გვირგვინებს, საკინებს, ავგაროზებს, თავსამკაულებს, მძივებს, უამრავ პაწია ღილაკებს და წკარუსებს და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი დიდი გულსაკიდი, ორივე ქალთა სამარხებში აღმოჩენილი. ერთი მათგანის კოლოფის სარქველში ჩასმულია მშვენიერი ლურჯი ქვისაგან გამოქანდაკებული ვერძის თავი, ხოლო შიგ კოლოფში ბავშვის მონაცვალი რამდენიმე კბილი გდია.

საკუთრივ ერისთავთა სამარხებში, როგორც ვიცით, რკინისპირიანი სატევრები აღმოჩენდა. ასპარუგის სატევარს ხის ტარი და ოქროს ქარქაში ჰქონდა, ოქროს ბერსუმასასა—ტყავის ქარქაში და წითელი თულებით მოოქვილი ოქროს ტარი.

ჩვენი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ ოქროს ნივთების შორის გაცილებით უფრო ნაკლებია უცხოეთიდან შემოტანილი, ვიდრე ვერცხლის ნივთებში. ქართლის ერისთავებს მდგომარეობაცა და შეძლებაც ხელს უწყობდა და ისინი კიდევაც ეწაფებოდნენ იმდროინდელი მოწინავე კულტურული ქვეყნების — საბერძნეთი-რომისა და სპარსეთის ხელოვნების ნაწარმოებთა. მათ ბევრი რამ შემოჰქონდათ და გადმოჰქონდათ საზღვარგარეთიდან. მაგრამ სრულიად უეჭველია, რომ იმ დროს ბევრი კარგი რამ ეთიდებოდა ჩვენს ქვეყანაშიც, ჩვენივე შემომქმედი ოსტატების ხელით; საკმარისია გავიხსენოთ ქართლის მეფე არტაგის მიერ რომაელი სარდლის პომპეუსისათვის მორთმეული ოქროს ტახტი, სარეცელი და მაგიდა. (ძ. წ. 65 წელს), ან ზეპით არა ერთხელ ნახსენები ფარსმანის მიერ ადრიანე კეისრისათვის რომს ძღვნად ჩატანილი, ოქროთი შემკული წამოსასხმები (ახ. წ. II ს.). კერძოდ ოქრომჭედლური ხელოვნება ძალიან მაღალ დონეზე მდგარა ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში, როგორც ამას თვალნათლივ ამტკიცებენ თრიალეთის არქეოლოგიური გათხრები. ჩანს, საქართველოში ეს ხელოვნება, ძველისძველი მკვიდრი საწყისებიდან მომდინარე, უწყვეტლივ ვითარდებოდა, იხვეწებოდა და ა ა ახ. წ. II III საუკუნეებში ჩვენ ვხედავთ მის შესანიშნავ, სწორუპოვარ ნიმუშებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

:: მითოლოგიის :: ლექსიკონი

ჰერა (იუნონა)—ზევსის და იყო, ამავე დროს მისი კანონიერი მეუღლე; იგი ღმერთებისა და ადამიანთა ზეციურ დედოფლად ითვლებოდა, ამიტომ „ოქროსტატოვანს“ უწოდებდნენ. გარდა ამისა, ჰერა კანონიერი ქორწინების, ოლქმრული ბედნიერების მფარველი ქალღმერთია. ჰომეროსის პოემებში მას „ხარისთვალა“ ეწოდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ უფრო ძველად ჰერას ძროხის სახით სცემდნენ პატივს, ძროხა ნაყოფიერების საწყისის გამოხატულება იყო.

ჰერას რომაელები იუნოს,იუნონას უწოდებდნენ.როგორც მშობიარობის ხელის შემწყობს, სინათლისა და სიცოცხლის მომნიჭებელს, რომაელები მას მეტსახელად აგრეთვე ლუცინას უწოდებდნენ. რომაელი წარჩინებული ქალები-მატრონები იუნონას პატივსაცემად 1 მარტს დღესასწაულობდნენ ქალთა დღეს — მატრონალიას.

ლუდოვიზის იუნონა (ჰერა). ეს ბიუსტი ეკუთვნის რომის (იტალია) კარდინალ ლ უ დ ო ვ ი ზ ი ს სახ. ხლის განძს, ამიტომ ბიუსტი ცნობილია ლუდოვიზის სახელით.

იუნონას (ჰერას) საყვარელ ფრინველად ითვლებოდა ფარშაგანგი, რომლის კუდი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ემბლემა იყო. იუნონას მიძღვნილი ჰყავდა აგრეთვე ბატები. ერთ დროს იუნონას ბატებმა სახელი გაითქვეს საქვეყნოდ. ეს იყო ძველი რომის კრძალ კაპიტოლიუშზე გალების მოულოდნელი თავდასხმის დროს. იუნონასადმი მიძღვნილი ბატები დაფრთხნენ და ყიყინი ასტეხეს. შეიქნა განგაში, რომაელებმა დროზე მოესწრეს მომხდურ მტერს და რომი დაღუპვას გადარჩა.

ამ ლეგენდამ ჩვენამდე მოაღწია და საყოველთაოდ გავრცელებული.ა. „ჩვენმა წინაპრებმა რომი გადაარჩინესო“, — ასე იკვეხნიან ბატები რუს ივანთმწერლის კრილოვის ცნობილ ივანში „ბატები“.

ჰერას (იუნონას) ჩვეულებრივ ლამაზი და დიდებული გარეგნობის ქალად სახავდნენ, სკიპტრათი ერთ ხელში და მრავალნაყოფიანობის სიმბოლოთი — ბროწეულის ნაყოფით—მეორეში. მის ღვთაებრივ თავს ვარსკვლავებიანი დიადემა ამშვენებდა, ვით დედამიწას ვარსკვლავებით მოჭედილი ცის თაღი. მაგრამ, მიუხედავად მისი მეფური სიდიადისა და დარბაისლობისა, როგორადაც მას მბატონრები გვიხატავდნენ, ჰერა ამავე დროს ეჭვიანი და ანჩხლი ცოლის სრული განსახიერებაა, რომელსაც თვით ოლიმპური სიმშვიდის ზევსიც კი გამოჰყავდა ხოლმე მოთმინებიდან.

ჰეფესტოსი (ვულკანი)—ზევსისა და ჰერას შვილი, ცეცხლისა და სამჭედლო ოსტატობის ღმერთად ითვლებოდა. მითოლოგიის გადმოცემით, ჰეფესტოსი ისეთი უშნო დაბადებულა, რომ გაჯავრებულ ჰერას იგი ოლიმპოდან გადმოუსროლია. ჰეფესტოსი ეგეოსის ზღვაში კუნძულ ლემნოსზე ჩამოვარდა, ფეხები მოიმტვრია და სამუდამოდ დაკოჭლდა. კუნძულ ლემნოსზე და აგრეთვე კუნძულ სიცილიაზე ცეცხლიმფრქვევ მთა ეტნას წიაღში ჰეფესტოსს სამჭედლოები ჰქონდა გამართული, სადაც ციკლოპებს ამუშავებდა. მან გამოსჭედა ამ ზევსისათვის ფარი—ეგისი და მეხის ისრები, სჭედდა აგრეთვე სხვადასხვა სამაკულებსა და საომარ საჭურველს სხვა ღმერთებისა და გმირებისათვის.

ჰეფესტოსი ცეცხლის სტიქიის განსახიერებაა; მისი სახე დაკავშირებულია ადამიანის საჭიროებისათვის ცეცხლის გამოყენებასთან, ხელოსნობის განვითარებასთან. ამ მხრივ ახლო კავშირშია მითები ჰეფესტოსისა და პრომეთეს შესახებ.

ჰეფესტოსის პატივსაცემად ძველად იმართებოდა ჭაბუკთა შეჯიბრება რბენაში ანთებული ჩირაღდნებით. ჩირაღდანი არ უნდა ჩამქრალიყო შეჯიბრების მსვლელობის დროს.

ალერსიანი და გულკეთილი იყო ჰეფესტოსი, სითბო და სიხარული მოჰქონდა მას ყველასათვის თავისი შეუდარებელი ოსტატობით, მაგრამ თუ გაჯავრდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით ღმერთებსაც არ დაინდობდა. ერთხელ მოაგონდა მას ჰერას მოპყრობა და მოინდომა მისი დასჯა. უბადლო ოსტატობით გამოსწვდა ოქროს ტახტი და საჩუქრად გაუგზავნა ჰერას. მაგრამ დაჯდა თუ არა დედოფალი ტახტზე, ზედ დაეკრა. ხოლო დიდი მუდარის შემდეგ გააცალა სუფლა ჰეფესტოსმა ასე შეურაცხყოფილი ჰერა. ასევე სასტიკად დასჯა მან თავისი მეუღლე სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე და მისი მოტრფიალე ომის ღმერთი

არესი, რომლებიც თავისი ხელით გამოჭედილ, უჩინარ ბადეში გააბა, რითაც ოლიმპელები გულიანად აცინა.

ჰეფესტოსს რომაელები ვულკანს უწოდებდნენ. ძველ ბერძნებსა და რომაელებს ჰ ე ფ ე ს ტ ო ს ი (ვ ულ კ ა ნ ი) სუსტფიზიკიანად, მაგრამ მხარბეჭიან და მძლავრმკლავებიანად, წვერ-ულვაშით შემკულ მამაკაცად ესახებოდათ; მას მხარზე ჩაქუჩი ჰქონდა გადებული, ცალ ხელში მარწუხი ეჭირა.



ჰეფესტოსი — ბრინჯაოს ქანდაკება ბრიტანეთის მუზეუმში, ლონდონში.

პუშკინი თავის ცნობილ ლექსში „ხანჯალი“ ჰეფესტოსს ლემნოსის ღმერთს უწოდებს. „ლემნოსის ღმერთმა შენ გამოგაკეთა“... — ასე მიმართავს ამ ლექსში პუშკინი ხანჯალს—„თავისუფლების ამ ჩუმ მცველს, დამსჯელ რკინას“.

სიზიფოსი — საბერძნეთის ქალაქ კორინთის დამაარსებლად და მის მეფედ ითვლებოდა. საოცრად მდიდარი, მაგრამ სტუმართმოძულე ყოფილა სიზიფოსი; არც ერთ მგზავრს არ შემოუშვებდა თავის სამფლობელოში, ხვნა დაუფარაჯებდა და უზარმაზარი ლოდებით ჩაჰქოლავდა მოსულს. სიზიფოსი განთქმული ყოფილა აგრეთვე თავისი ცბიერებითა და მოხერხებულობით. მითოლოგია გადმოგვცემს, რომ სიზიფოსმა თვით სიკვდილის ღმერთი პირქუში თანატოსიც კი მოატყუა, დაიჭირა იგი და ბორკილებში ჩასვედა. ამის გამო სიკვდილი ვეღარ მოდიოდა დედამიწაზე, და გაიხარა ყოველმა ცოცხალმა. მაგრამ არ მოეწონა, თორემ, ეს უზენაესს ღმერთებს ზეკესს, რადგან დაირღვა მის მიერ ქვეყნად დამკვიდრებული წესი. გაგზავნა დედამიწაზე ომის ღმერთი არესი და გაათავისუფლებია სიკვდილი. პირქუში თანატოსი კვლავ მიადგა სიზიფოსს, და მოკვდა სიზიფოსი. მაგრამ ახლა ჰადესი—ტარტაროსის ღმერთი მოატყუა მან და კვლავ დედამიწაზე დაბრუნდა. განრისხდა ზეკესი სიზიფოსის ამდენი ურჩობით და მისი უსაზღვრო სტუმართმოძულეობით, ჩააგდო იგი ტარტაროსში და სამარადისოდ მიუსაჯა უნაყოფო, გამოუსადეგარი შრომა: უზარმაზარ ლოდს, რითაც თავის სიცოცხლეში სტუმრებს უმასპინძლდებოდა, მიაგორებს სიზიფოსი ახლა მთის მწვერვალისაკენ, ორივე ხელით ებღაუჭება მას, ფეხებით მიწას დაჰაბეით ებღინება და ოფლად იღვრება. აი ააგორა ლოდი მწვერვალზე, კიდევ ერთი დაჰაბვა და გადააგორებს მას მეორე მხარეს, მაგრამ ამ დროს უეცრად გამოუსხლტება მას ხელიდან ეს „უსირცხვილო“ ლოდი და საშინელი სისწრაფით დაჰქანდება უკან. მთელი ამოდენა შრომა, ამრიგად, უნაყოფოდ ჩაუვლის ბედკრული სიზიფოსს და მას კვლავ თავიდან უხდება მუშაობის დაწყება. ასე დაუსრულებლად მიაგორებს სიზიფოსი ლოდს და ვერასოდეს მიზანს ვერ აღწევს.

ჰომეროსის პოემის „ოდისეას“ გმირმა ოდისევსმა მი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილი გემები

ისტორიაში მრავალი ცნობილი გემის სახელია შესული, რომლითაც მამაცმა და გამბედავმა მეზღვაურებმა უმარავი დიადი გეოგრაფიული აღმოჩენები და მოგზაურობანი მოახდინეს და შესანიშნავი საზღვაო ბრძოლები ჩაატარეს. ჩვენ მოგვყავს ცნობები ზოგიერთი ასეთი გემის შესახებ.

1. ხომალდი „ბიგლი“, რომლითაც ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჩარლზ დარვინმა (1809-1882 წ.) იმოგზაურა დედამიწის გარშემო, რის შედეგადაც მან შეჰქმნა ახალი, შესანიშნავი თეორია სახეობათა შესახებ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დარვინის მოგზაურობას გეოგრაფიისა და გეოლოგიურ მეცნიერებისათვის. ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგში ერთ-ერთ სრუტეს ეწოდება გემ „ბიგლის“ სახელი.

2. 1912 წლის 28 აგვისტოს ცნობილი რუსი მოგზაური, უფროსი ლეიტენანტი გიორგი სედოვი გემ „წმიდა ფოკათი“ ჩრდილო პოლუსისაკენ გაემგზავრა. ფრანც იოსების მიწასთან „წმიდა ფოკა“ ყინულებში ჩაიჭედა და დაიღუპა. გემთან ერთად დაიღუპა ეკიპაჟის დიდი ნაწილი და თვით გ. სედოვიც.

3. სახაზო გემმა „კიროვმა“ 1942 წელს შემოდგომაზე ბალტიის ზღვაში ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგის ესკადრას. საბჭოთა მეზღვაურებმა ამ ბრძოლაში ერთხელ კიდევ უჩვენეს მთელ მსოფლიოს გმირობისა და თავდადების ნიმუშები. უთანასწორო ბრძოლაში საბჭოთა გემი გამარჯვებული გამოვიდა. გემი ატარებს დიდი სტალინის თანამებრძოლის—სერგეი მირონის-ძე **კიროვის** სახელს.

4. 1519 წელს ხუთი გემი ფერნანდო მაგელანის ხელმძღვანელობით შეუდგა დედამიწის გარშემო მოგზაურობას. 1521 წლის 27 აპრილს ფილიპინის კუნძულებზე მაგელანი მოჰკლეს ველურებმა. ხუთი გემიდან სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ ერთი გემი—„ვიქტორია“. მაგელანის მოგზაურობამ დაამტკიცა, რომ დედამიწა მრგვალია. მაგელანის მოგზაურობა იმდენად ძნელი და დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ, ერთი ფრანგი გეოგრაფის თქმით, „მისი მოგზაურობა შეიძლება მთვარეზე გაფრენას შევადაროთ“.

5. 1492 წლის 12 ოქტომბერს ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა „ახალი ქვეყანა“, რომელსაც ახლა „ამერიკას“ ვუწოდებთ. სურათზე წარმოდგენილია პატარა გემი „ნინია“: სიგრძე 27 მეტრი, სიგანე 14 მეტრი, წყალწყვა 210 ტონა. აი გემის მონაცემები, რომლითაც გენიალურმა მოგზაურმა აღმოაჩინა ახალი კონტინენტი და ახალი ერა დაიწყო მსოფლიო ისტორიაში.

6. გემი „ავრორა“ ჩვენი ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაპარია. 1917 წლის 7 ნოემბერს კრეისერმა „ავრორამ“ ზამთრის სასახლისაკენ მიმართული ზარბაზნების ჭუხილით ქვეყანას ამცნო, რომ „დაიწყო ახალი ერა—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ გაიმარჯვებს?

პასუხი 1 ხერიაზე

1. ჰელიუმი: ასე. უწოდა ამ ელემენტს ინგლისელმა მეცნიერმა ლოვიერმა, ვინაიდან „ჰელიოსი“ ძველი ბერძნულით ნიშნავს „მზეს“. იგი აღმოჩენილ იქნა 1868 წელს მეცნიერთა მიერ ინდოეთში მზის სრული დაბნელებაზე დაკვირვების დროს, მხოლოდ 13 წლის შემდეგ (1881 წელს) ჰელიუმი აღმოჩენილ იქნა მიწაზე ვულკან ვეზუვიუს (იტალია) გაზებში. შემდეგში ჰელიუმი აღმოჩენილ იქნა ოგნიათ მინერალებში და ჰაერშიც კი. ჰელიუმი მატად მსუბუქი გაზია, სრულებით არ იწვის და მატად სუსტი დიფუზია აბსაითობს, ამიტომ ეს ნამარობენ საფრენოსნო საქმეში—დირიჟაბლებისათვის. კავკასიაში, შუავოლგის ოლქში და სხვ. არის ჰელიუმის შემცველი წყაროები.

2. ტანტალოსი. ეს ელემენტი აღმოჩენილ იქნა 1802 წელს. მეცნიერები გატანგა ამ ელემენტზე წარმოებულმა ცდებმა. მათ ძოელი ერთი საუკუნე ტანტალოსის ტახვაა განიკადეს, ამიტომ მას ძველი ბერძნული მითოლოგიის გმირის ტანტალოსის სახელი უწოდეს. ტანტალოსი უდიდესი ქიმიური გამძლეობის მეტალია. მას დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ ლაბორატორიებსა და ტექნიკაში.

3. წყალი არ იწვის, როგორც არ იწვის, მაგალითად, ნაკარი, რადგან იგი თვითონ წვის შედეგად არის იეკეთული. წყალი წყალბადის წვის შედეგია.

4. ციფრი მხოლოდ ათია (0,1,2,3,4,5,6,7,8 და 9), რიცხვების შემდგენელი; რიცხვი უსასრულოდ მრავალია, ციფრებისაგან შედგენილი.

5. ნულს, რადგან ათ ციფრში მამრავლად ნული შედის, ნულზე გამრავლებული ყოველგვარი რიცხვი კი ნულია.

6. ჰოლანდიელ ვილიამ იანცოონის შემდეგ, რომელიც პირველი მიადგა ავსტრალიის ნაპირს 1605 წელს. ინგლისელმა კუკმა 1770 წელს მოახდინა ავსტრალიის გამოკვლევა და საფუძველი ჩაუყარა მის კოლონიზაციას (დასახლებას).

7. მდინარე შარიზე.

8. მდინარე დუნაიზე—ვენა, ბუდაპეშტი და ბელგრადი.

9. რაბენის დროს სხეული ერთ მომენტში მთლიანად ჰაერშია მიწაზე დაფარნობადად, სიარულის დროს კი ერთ-ერთ ფეზზე ეყრდნობა შენაცვლებით.

10 ბეგრ მოიან ქვეყანაში, მაგალითად, ჩვენში, კავკასიაში, აგრეთვე შვეიცარიაში, თუ. ავყვებით მთას მისი მწვეტვალისაკენ, შეიძლება ერთსა და იმავე დღეს ვიხილოთ ზლის ოთხივე დრო.

შინაარსი

იოსებ გრიშაშვილი—ბრძოლის გმირებს, სწავლის გმირებს (ლექსი) . . . . . გარეკანის მე.2 გვ.

გიორგი კაკაბაძე—დიდი „ქართველი“ (ლექსი) . . 1 „

ვაამბული—სიმღერა ტალიზზე (ლექსი) . . . . 2 „

დავითი შამათავა—ნათესავები (მოთხრობა) . . 3 „

ნ ინო ნაკაშიძე—სუნგა (ბალხური ზღაპარი—დამუშავებული ბავშვებისათვის) . . . . . 6 „

ს ფოლუბოვი—ბ. ბაგრატიონი (ნაწყვეტი მოთხრობიდან) . . . . . 10 „

ჯ. გარნი—ვილჰელმ ტელი (თარგმანი ინგლისურიდან) . . . . . 13 „

კ. გოგიაშვილი—რუხი მგელი (იგავი ერთ მოკმედებად) . . . . . 15 „

ალეკო შენგელია—ბანაკში (ლექსი) . . . 21 „

გიორგი თევზაძე—მზის დაბნელება (წერილი) . 22 „

ვოლტერი გამოცანა წიგნიდან „ზადიგი ანუ ბედი“ 23 „

ევგენი წოლაძე—უხილავი სამყარო (წერილი) 24 „

გიორგი ლომთათიძე—ქართული კულტურის ძველი კერა (წერილი მესამე) . . . 26 „

შ. გვინჩიძე—მითოლოგიის ლეგენდები . . . 29 „

გ. ზარდალიშვილი—ცნობილი ვიმები . . . 31 „

გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.

მურმან ლებანიძე—დაბრუნება (ლექსი) გარეკანის . . . მე-4 გვ.

გარეკანზე მხატვარ ს. კეცხოველის ნახატი „თევზაობა“

პასუხისმგებელი რედაქტორი—თ. გელიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უე—08140 82×110 1/16 ქაღ. ფურც. 3ნ612 ბეჭდვ. ნიშ. თბეჭდ. ფურც. 4 ბეჭდვ. ფურც. გამომც. შეკვ. № 49
ლ. პ. ბერიას სახელობის „კომპანია „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, შეკვ. № 1076. ტირაჟი 7000
ყურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

რატომ ხდება?

დაალაგეთ ასანთის ღეროები ისე, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები. გადათვალეთ განლაგებული ღეროებიდან (დაწყებული A —დან) ისრის მიმართულებით რამდენიც გსურდეთ, შემდეგ იმ ღეროდან, რომელზეც შეჩერდებით, მარცხნიდან მარჯვნივ (ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით) გადათვალეთ იმდენივე ღერო წრეხაზზე, და თქვენ დაინახავთ რომ მუდამ იმ ღეროზე შეაჩერებთ გადათვლას, რომელიც C -თი არის აღნიშნული.



გამოიცანით, რატომ ხდება, რომ, რა რიცხვამდისაც არ უნდა ეაწარმოოთ გადათვლა აღნიშნული წესით, წრეხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ გადათვლისას მუდამ ერთსა და იმავე ღეროზე შეჩერდებით?

შედგენა ნატო ჩუბინიძემ

გამოცანა

ქარვის ფერი ხილია —
მაგარი და მსხვილია,
სუნია — დამათრობელი,
სუფრის—შემამკობელი.



ჩაინვორდი

1. დიდი სამამულო ომის გმირი-ქალაქი.
2. სახელმწიფო ევროპაში.
3. კუნძული აზიაში.
4. ქალაქი ფინეთში.
5. მდინარე სამხრეთ ამერიკაში.
6. მცენარეულობით დაფარული ადგილი უდაბნოში.
7. მწვერვალი კავკასიონზე.
8. სახელმწიფო აზიაში.
9. ნავსადგური ესპანეთში.
10. მთის უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოში.
11. იაპონიის კუნძული.
12. ქალაქი კანადაში
13. რუკების კოებული.
14. მდინაოე ბირმაში.

შედგენა
გ. ზარდალიშვილმა.

კითხვა - პასუხი

— რომელ ცხოველს აქვს ყველაზე სქელი კანი?

— სქელი კანი აქვს კამეჩს —ადამიანის ერთი თითის სისქისა. სპილოს, ბეჰემოტს და ცალრქას ორჯერ უფრო სქელი აქვთ კანი. მაგრამ ყველაზე სქელი კანი ყველაზე უწყინარ და ყველაზე გრძელკისრიან ცხოველს—ჟირაფს აქვს. სწორედ ამ გრძელ კისერზე მას კანი 8 სანტიმეტრის — 4-5 თითის სისქისა აქვს.

55/24. 45-10 /24

ბერლინისათვის ბრძოლების მონაწილეებთან შეხვედრა თბილისის ვაგზალზე.

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

ლოდინს მოჰყვა ორთქლმავალი, თუ ხალისის ნიაღვარებს?...
ღია ფანჯრებს ყვავილების ლურჯი თოვლი მიაყარეს.
ატყდა ტაში, — ხვევნა-კოცნა, გული დარდს არ იბურვიდა...
და ვაქკაცი ნომარი ხალხს დასცქერის ტრიბუნიდან.
უცებ დედის კალთას მოსწყდა პაწა გოგო თვალშაყვალა,
შედგა გმირთან და ფუნჩულა ხელით მისწვდა მხედრის ხალათს;
— მეომარო, იმ დიდ გზებზე არ გინახავს მამაჩემი?
ხმა ჩაუწყდა და თვალები ძირს დაბარა ანაცრემლი,
დაირბინა ერუანტელმა და აკვნესდა ყველა გულთან...
აიტაცა გმირმა ბავშვი აკოცა და ასე უთხრა;
როგორ არა, მამაშენიც ისე როგორც ყველა მამა
ჩემთან იყო და საძულველ მტერს თავალები ჩაუღამა.
ჩემზედ უფრო მამაცია, ჩემზედ უფრო ახალგაზრდა,
ხალხმა სთხოვა, მხარემ სთხოვა და ჯერ კიდევ ლაშქრად დარჩა...
დაბრუნდება, კარგო მალე — მანამდე კი დამიბარა;
არ მოგაკლო მზრუნველობა და გაგფურჩქნო ვარდის დარად.
...ატყდა ტაში, ერუანტელი აცახცახდა ყველა გულთან
და გოგონა, ცრემლიანი ვაქკაცს გულზე მიეხუტა...

ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲜ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ